ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 26 ივლისი, 2018 | №175 (7720) | ფასი: 60 თეთრი

მამუკა გამყრელიძე: „ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატად კალაძესაც განიხილავს“

გვ.2

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული ალარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„ოცნება“ ივანიშვილის ჩამოგდებას აპირებს“

გვ.3

გიგლა ბარამიძე: „ყოფილმა პრემიერმა შეიძლება მთელი ქონება დაკარგოს“

თემურ ჭკუასელი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

გვ.4

„მე არ მინდა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი არ გვყავდეს და ოპოზიციონერი იყოს პრეზიდენტი“

ზოთა მალაშხია: „ივანიშვილმა იცის, რომ „ოცნების“ კანდიდატი არჩევნებს წააგებს“

გვ.5

სამართალი

აფეთქება ქუთაისში

ავტოქარხნის ეზოში გაჩენილი ხანძრის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა

გვ.7



აშშ-ში საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს

ბათუმში სამმა არასრულწლოვანმა სილამაზის სალონი, ტანსაცმლის მაღაზია და სამკერვალო გაქურდა. წაღებულია 11.650 ლარი

ეკონომიკა

გვ.6

„მეიდან პარკინგი“: ცენტრალურ უბნებში საათობრივი პარკინგის შემოღება სიტუაციას განმუხტავს

„წესების დარღვევის გამო ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს სანქციები დაეკისრათ“

ორკარიანი და მარჯვენასაჭიანი ავტომანქანებით ტაქსის მომსახურების სერვისი აიკრძალება

ISSN 1987-9385

6 დეპუტატების სამივლინებო ხარჯებმა 1.720.052 ლარი შეადგინა

5 ზურაბ ჯაფარიძე: „ბანკები ახლა ზეგათავხედებულები არიან“

4 კობა გვენეტაძე: „ჭარბვალიანობასთან დაკავშირებული სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება“

8 საბერძნეთის ხელისუფლება ხანძრისგან დაზარალებულების დასახმარებლად 20 მილიონ ევროს გამოყოფს

მამუკა გამყრელიძე: „ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატად კალაძესაც განიხილავს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

მამუკა გამყრელიძე:

– მე ორად გავყოფდი „ოცნების“ კანდიდატის თემას. ერთი ვარიანტი, როდესაც „ქართული ოცნება“ დაასახელებს საკუთარ კანდიდატს და მეორე ვარიანტი, როდესაც „ქართული ოცნება“ არ დაასახელებს საკუთარ კანდიდატს, მაგრამ მხარს დაუჭერს ვიღაცას. ორივე ვარიანტი აქტიურად განიხილება. თუ დაასახელებს, ვინ იქნება მათი კანდიდატი, მაგას მნიშვნელობა არ აქვს.

– რატომ არ აქვს მნიშვნელობა?

– იმიტომ, რომ ვინც არ უნდა იყო, ის იქნება ბიძინა ივანიშვილი, მასთან ასოცირებული. ყუთიც რომ დადონ, ისიც ბიძინა ივანიშვილი იქნება. პლუს ადმინისტრაციული რესურსი. ახლა რაც შეეხება მეორე ვარიანტს, ვითომდა დემოკრატიული პროცესების გაძლიერების თვალსაზრისით არ დაასახელონ კანდიდატი და ეს თანამდებობა მისცენ ოპოზიციას. რაღა დაგიმალოთ და ეს სრული სისულელეა.

– რატომაა სისულელე, ამას არ უშვებთ?

– ეს არის რაღაც საეჭვო მცდელობა იმისა, რომ დასავლელი პარტნიორების თვალში გაიმყარო იმიჯი იმისა, რომ დემოკრატიული ხელისუფლება ხარ და აი ჩვენს ადგილს ვუთმობთ ოპოზიციას. ამას არ ჭამს არავინ! ეს სრული აბსურდია. მეორე მხრივ, მათ ამომრჩეველში ეს გამოინვევს სრულ დაბნეულობასა და გაურკვევლობას.

– ეს პოზიცია მათთვის ხომ წამგებიანი იქნება და რატომ წავლენ ამაზე?

– წავლენ კი? არის ვინმე დარწმუნებული, რომ მიდიან? მე გუშინ მითხრეს, კალაძის კანდიდატურასაც განიხილავენო. არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომ მარგველაშვილი-უსუფაშვილის ტანდემი შემოუშვან. მარგველაშვილი ხომ არც არასდროს ყოფილა ოპოზიციონერი. ის ყოველთვის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იყო და ამ როლს თამაშობდა. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ უსუფაშვილი და მარგველაშვილი შემოუშვან და თქვან, რომ ოპოზიციონერები არიან და შემდეგ ხელისუფლება მათ დაეხმაროს ჩუმად.

თუ ამ თამაშზე წავლენ, ესეც ხელს შეუშლის „ქართულ ოცნებას“, რადგან ეს წარმოაჩენს მათ სისუსტეს. თუ ისინი ამისთვის მზად არიან, კი ბატონო, რატომაც არა? ჩვენ გვაწყობს. თუ უნდათ, შეუძლიათ დაეხმარონ ოპოზიციურ კანდიდატს.

– ოპოზიციურ კანდიდატში ვის გულისხმობთ?

– ახლა არ დავკონკრეტდები. ყველამ კარგად ვიცით, ვისაც ეხმარებიან ხოლმე.

– ეს პროცესი თქვენ რამდენად დაგაზარალებთ?

– მოვისმინე ასეთი შეფასებებიც, რომ ამით ნაცმოძრაობას დაასამარებს „ოცნება“. ჯერ ერთი დავიწყოთ იმით, რომ მას სულაც არ სჭირდება ნაცმოძრაობის დასამარება, რადგან ეს არის ერთადერთი მტრის ხატი „ქართული ოცნებისათვის“. მათთვის არც რუსეთია მტერი, არც სიღარიბეა მტერი, არც უმუშევრობაა მტერი. მტერია მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა. თუ ამასაც მოსპობს, მაშინ ვიღა დარჩება? ვინ გამოადგება მტრის ხატად? მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ მათ ეყოლებათ საკუთარი კანდიდატი.

– ვინ იქნება სახელისუფლებო კანდიდატი?

– მე მგონია, რომ თავად ბატონი ბიძინა იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი. ჩემი აზრი ასეთია, რომ მისი სატელევიზიო ინტერვიუ იყო წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისი. წავა საუბრები, რომ ჩვენ გვჭირდება ძლიერი კანდიდატი, თუ არ დავასახელებთ, ეს ჩვენი სისუსტე იქნება. გთხოვთ, ბატონო ბიძინა, იყავით ჩვენი კანდიდატი და ისიც იტყვის, აბა, როგორ მეთქვა უარიო. ამიტომ მის გამოსვლას წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებად შევაფასებდი.

– თქვენს ერთიან კანდიდატს რა შანსები აქვს?

– ჩვენი კანდიდატის შანსები საკმაოდ მაღალია. მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მართალია, „ქართულ ოცნებას“ ფორა აქვს ძალიან დიდი ადმინისტრაციული რესურსის სახით. ხალხში ძალიან სერიოზული შიშია, რომ დაკარგავს სამსახურს და დაჰკანკალებენ თავიანთ კაპიკებს. ეს კატეგორია ყველა „ოცნებას“ მისცემს ხმას, რომელიც დაახლოებით 25%-ია.

თუ ვიქნებით ერთიანები და მათ სერიოზულ ბრძოლას გავუმართავთ, მთავარი ბრძოლა უნდა იყოს პირველ ტურში. სწორედ ეს არის მთავარი, პირველ ტურში გაიმარჯვებენ თუ არა. „ოცნება“ ყველანაირად შეეცდება, რომ არჩევნები პირველივე ტურში მოიგოს, რადგან მეორე ტურში ოპოზიციის გაერთიანების საშიშროება დგას მის წინაშე და აქ უკვე გაყალბების გარეშე ვერაფერს შეძლებენ. ამიტომ შეეცდებიან, არ დაუშვან მეორე ტური.

– წინასაარჩევნოდ თუ იქნება სიურპრიზები?

– არ გამოვრიცხავ, რომ თუ დასჭირდათ, დაიჭირონ კიდეც კვირიკაშვილი ან ქუმსიშვილი და ხალხს აჩვენონ, რომ აი, ჩვენ ვებრძვით კორუფციას მაღალ ეშელონებში და როგორი სუფთები ვართ. პატიოსანმა ბიძინამ თავის ინტერვიუში პროკურატურა გაამართლა და თქვა, რომ, პრინციპში, არანაირი დარღვევა არ მომხდარა სარალიძის ამბავში. ამით მან წერტილი დაუსვა ამ ამბავს. სწორედ აქ დაუშვა შეცდომა ივანიშვილმა.

– რაში დაუშვა შეცდომა?

– თუ არ მოხდება პროკურორებისა და შს სამინისტროს მაღალჩინოსნებისთვის პრობლემების გაჩენა, არც სარალიძე და არც მაჩალიკაშვილი უკან არ დაიხევენ და სწორედ ეს იქნება ერთგვარი სიურპრიზი ხელისუფლებისთვის.

– შესაძლოა, რომ კვირიკაშვილი ან ქუმსიშვილი დააკავონ?

– ძალიან რთული სათქმელია, ბიძინას თავში რა იხარშება. ექვსი წელია, ვუყურებ და ვერაფერი გავუგე. არა მგონია, ვინმე იყოს დედამიწის ზურგზე, რომელმაც შეიძლება განსაზღვროს წინასწარ, რა შეიძლება ამ კაცმა გააკეთოს. არაპროგნოზირებადი ადამიანია. ტიპი წარმოკოტრიალებულია სადღაც კურორტზე და პროკურატურას იქიდან მართავს. ამაზე მეტი უბედურება რა შეიძლება იყოს.

– რამდენად ობიექტური და სამართლიანი იქნება ეს არჩევნები?

– ობიექტური კი არა, საერთოდ არჩევნები თუ ერქმევა, კარგი იქნება. არა მგონია, რამე ობიექტურობასთან გვქონდეს საქმე. აქ სერიოზული ბრძოლაა გასამართი და ჩვენ ამ ბრძოლაში აუცილებლად გავიმარჯვებთ. თუმცა მთავარი გამარჯვება იქნება საპარლამენტო არჩევნებზე.

„ქართულ ოცნებას“ არ უნდა მივცეთ გამარჯვების საშუალება. აი, ეს იქნება სწორედ მთავარი. თუნდაც შევქმნათ კოალიციები, გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ვეღარ მოვიდეს. საპრეზიდენტო არჩევნები იქნება პირველი ეტაპი ამ გამარჯვების.

მიხეილ რამიშვილი: „მეუფე გრიგოლმა ბრალდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძისგან ისეთი რამ შეიტყო, რის თქმასაც მხოლოდ წმინდა სინოდის წინაშე აპირებს“

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის განცხადებით, მეუფე გრიგოლმა ბრალდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძისგან ისეთი რამ შეიტყო, რის თქმასაც მხოლოდ წმინდა სინოდის წინაშე აპირებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა, მეუფე გრიგოლთან ერთად იგი გუშინ საპატიმროში არ იმყოფებოდა, თუმცა აღნიშნული მისთვის ცნობილი მოგვიანებით გახდა.

– მეუფეებთან ერთად საპატიმროში არ ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც ვიცი, მეუფე გრიგოლმა ბრძანა ასეთი რამ: ერთ-ერთ კითხვაზე მამა გიორგისგან ისეთი რამ გავიგე, რომ ამას მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სინოდზე ვიტყვიო. ეს მეუფემ იქ მყოფ ჟურნალისტებს განუცხადა, – აღნიშნა ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა.

მისივე თქმით, მეუფე გრიგოლს არ დაუკონკრეტებია, თუ რა შეიტყო მამა გიორგისგან.

მსჯავრდებული დეკანოზი გიორგი მამალაძე „მატროსოვის ციხეში“ გუშინ მეუფეებმა მოინახულეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფოთისა და ხობის ეპარქიაში განუცხადეს. მათივე ინფორმაციით, საპატიმროში მამა გიორგისთან ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) და მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიაშვილი) იმყოფებოდნენ. ისინი მსჯავრდებულ დეკანოზს ოთხი საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ.

სასულიერო პირებთან შეხვედრის სურვილი თავად დეკანოზმა მამალაძემ გამოთქვა.

„ევროპული საქართველო“ გიორგი მარგველაშვილს მოუწოდებს, საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი რაც შეიძლება მალე დანიშნოს

„ევროპული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მოუწოდებს, საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი რაც შეიძლება მალე დანიშნოს.

როგორც ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ამით ოპოზიციას საშუალება მიეცემა, თანაბარ პირობებში წარმართოს წინასაარჩევნო კამპანია.

– ჩვენი ამოცანა იქნება, რომ სრულად ვიბრძოლოთ პირველ ტურში და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ოპოზიციის თითოეული მხარდამჭერისთვის იმის ცოდნა, რომ ის უნდა მოვიდეს არჩევნებზე, პირველივე ტურში და ბოლომდე იბრძოლოს ოპოზიციის მხარდაჭერისთვის. მაღალი ალბათობით, ველოდებით მეორე ტურსაც და აქ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ოპოზიციის გაერთიანება მეორე ტურში გადასული კანდიდატის ირგვლივ. ეს მაღალი ალბათობით შექმნის წინაპირობას ოპოზიციის გამარჯვებისა არჩევნებში. უნდა ვიბრძოლოთ პირველ ტურშიც და მეორეშიც. რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, მისი გადასაწყვეტია, დააყენებს თუ არა თავის კანდიდატურას, თუმცა სასურველია მისი გადაწყვეტილება სწრაფად ვიცოდეთ, ვინაიდან ეს იმოქმედებს გარემოებებზე და რაც უფრო სწრაფად ჩამოყალიბდება, მით უკეთესი იქნება ოპოზიციისთვის. თუმცა მისი პირადი გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, არსებობს გადაწყვეტილება, სადაც ნამდვილად ველოდებით მისგან სწრაფ ნაბიჯს და ეს არის არჩევნების თარიღის დანიშვნა, – განაცხადა ბაქრაძემ.

უმცირესობის ლიდერის თქმით, ყოველი დღე, როცა ოპოზიციამ არ იცის არჩევნების თარიღი, არის ოპოზიციისთვის დაკარგული და ხელისუფლებისთვის სასარგებლო დღე, რადგან თარიღის გარეშე ოპოზიციას არ აქვს საეთერო დრო, რეკლამის გაშვების უფლება და არც ერთი ის ინსტრუმენტი, რომელსაც ოპოზიცია არჩევნებზე იყენებს.

– როგორც პრეზიდენტს, მინდა მოვუწოდო, რაც შეიძლება სწრაფად დანიშნოს არჩევნების დღე, რომ თანაბარ პირობებში მოუწიოს ბრძოლა ოპოზიციას ხელისუფლებასთან, – აღნიშნა ბაქრაძემ.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის განცხადებას „ქართული ოცნების“ მიერ პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის შესაძლო მხარდაჭერასთან დაკავშირებით, ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ვერც ერთი კანდიდატი დამოუკიდებელი ვერ იქნება, თუკი მას რომელიმე პარტია გაუმაგრებს ზურგს.

– ბიძინა ივანიშვილი კარგად ხვდება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მისი რესურსი ამოწურა და სწორედ ამას ემსახურება იდეა, რომ მოიყვანონ თითქოსდა გარეშე და დამოუკიდებელი ადამიანი. ვერ იქნება კანდიდატი დამოუკიდებელი, თუკი მის ზურგს უკან დგას „ქართული ოცნება“. რა მნიშვნელობა აქვს ფურცელზე პარტიის წევრობას, თუკი ზურგს გიმაგრებს პარტია და ამ კამპანიას ატარებ ამ პარტიის მხარდაჭერით. არანაირ დამოუკიდებელ კანდიდატზე აქ საუბარი არ არის. საუბარია იმაზე, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ მისი ნორმით ძალიან გაუჭირდება არჩევნების მოგება და მოიფიქრეს ეს მიდგომა, რომ თითქოს საზოგადოებას სთავაზობენ ვიღაც დამოუკიდებელს. სინამდვილეში უნდა გვესმოდეს, რომ გამოსავალი არის არა ამაში, არამედ ამ პოლიტიკური გუნდის სრულ დემონტაჟში, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ ივანიშვილის ჩამოგდებას აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი

გიგლა ბარამიძე: „ყოფილმა პრემიერმა შეიძლება მთელი ქონება დაკარგოს“

რატომ აღარ ენდობა ივანიშვილი „ოცნებას“, უმალავდნენ თუ არა მას ინფორმაციებს, გაიზიარებს თუ არა შევარდნაძის ბედს, მიდის თუ არა ხელისუფლების გადაბარება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

– ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი მედიაში გამოჩნდა. ინტერვიუში, რომელსაც მთელი საქართველო ელოდა, მან ბევრ რამეზე ისაუბრა, თქვა, რომ ქუმსი შვილი და კვირიკაშვილი რაღაცეებს უმალავდნენ, თქვა ისიც, რომ ყოფილი პრემიერი მამუკა ხაზარაძეს ლობირებდა. ივანიშვილს სწორ ინფორმაციებს რომ არ აწვდიდნენ და კვირიკაშვილი პოზიციების გამყარებას ბანკირების დახმარებით რომ ცდილობდა, ამაზე თქვენ „ახალ თაობასთან“ ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს ისაუბრეთ. თქვენთან თუ მოვიდა ინფორმაცია, ივანიშვილმა როგორ ვერ გაიგო?

– რატომ არ მიდიოდა მასთან ეს ამბები, ვერ გეტყვით. თვეების წინ რაც მე „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვი „ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზე, ივანიშვილმა ახლა ყველაფერი დაადასტურა. მე იმაზეც ვსაუბრობდი, რომ მას გუნდი ღალატობდა. ივანიშვილმა ესეც დაადასტურა.

გაუგებარი წარმომავლობისა და პროფესიის მრჩევლებზე მილიონებს რომ ხარჯავს, უმჯობესია, ქართული პრესა იკითხოს. მერე მრჩევლების გარეშეც მიხვდება, რა უნდა აკეთოს და რა – არა.

მისმა ინტერვიუმ ჩემზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. დავინახე მარტო დარჩენილი ძალიან მდიდარი კაცი, რომელიც ჩივის. აშკარაა, რომ მას გუნდთან ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს. მის გუნდს ბოკერიასთან ალიანსის გამო „ბოცნება“ შევარქვი და ეს „ბოცნება“ ამყაყებულ ჭაობად არის ქცეული.

კაპიტან გრანტის შვილები გამიგია, მაგრამ, ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ მილიარდერის ხელის გოგო-ბიჭები ობსტრუქციის მოწყობას გაბედავდნენ.

ისე არა ქნას ივანიშვილმა, რომ საერთოდ მეფე ლირივით დარჩეს, მდგომარეობისა და თავისი მილიარდების გარეშე.

– გაუბედავენ ამდენს ივანიშვილს მისი გუნდის წევრები?

– უკვე გაუბედეს. ყველაფერი იქით მიდის, რომ რამე თუ არ შეცვალა, შესაძლოა ყოფილი პრემიერი მეფე ლირივით დარჩეს. მგონია, რომ ივანიშვილს შევარდნაძის სინდრომი დაემართა. ეს უკანასკნელი მის მიერ გაზრდილმა მოქკავშირის ლეკვებმა გაწირეს.

ივანიშვილმა ისიც უნდა იცოდეს, რომ მას და შევარდნაძეს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. შევარდნაძე მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური ფიგურა იყო. ის, მართალია, ხელისუფლებას ჩამოაშორეს, მაგრამ ამით დამთავრდა ყველაფერი. მას უბატონოდ ხმის გაცემაც კი ვერ გაუბედეს.

ყოფილი პრემიერი ასეთი მასშტაბის ფიგურა არ არის და მას წასასვლელი არსაით აქვს. როგორც კი საქართველოდან ანგლოსაქსურ სამყაროში დააპირებს წასვლას, ეგრევე გაქრება მილიარდები. მის ქონებას ანგლოსაქსური კორპორაციები გააკონტროლებენ. ამიტომ, თუ მოხერხებულად არ იქნა და ნორმალური რჩევები არ გაითვალისწინა, უმძიმეს შედეგებს მიიღებს.

– ამ ინტერვიუში მან უკვე დაიჩივლა, ოპოზიცია უფრო მეტ პატივს მცემს, ვიდრე საკუთარი გუნდიო. მისი ეს განცხადება რას ნიშნავს?

– მან თქვა ის, რაც ხდება. კარგად რომ გადაეხედა თავისი გუნდის წევრებისთვის თავის დროზე, ასეთი მძიმე რეალობის წინაშე არ აღმოჩნდებოდა. თამარ ჩუგოშვილს, კახა კალაძესა და ამ კატეგორიის ხალხს როგორ შეიძლება, ბიძინა უყვარდეს.

ბიძინა ხომ ამბობს, პატივს არ მცემენო, მაგრამ მე შემიძლია დავამატო, რომ ვერ იტანენ და ეზიზღებათ.

– რატომ ეზიზღებათ, მისი წყალობით არ არიან ახლა ხელისუფლებაში?

– ზიზღისთვის მიზეზი აქვთ. მართალია, ხელისუფლების სათავეში არიან, მაგრამ კარგად იციან, რომ მათ მთელი საქართველო დასცინის. კარგად იციან, რომ ხალხი მათ ივანიშვილის ხელის ბიჭებად, შნირებად და მონებად მოიხსენიებს

მონას თავისი პატრონი ეზიზღება და სასურველ მომენტს ელოდება იმისთვის, რომ როგორმე უყელოს. ესენიც ელოდებიან თავიანთ მომენტს და ერთი სული აქვთ, როდის უყელებენ ბიძინას, ამ ზიზღს შეძლებისდაგვარად მალავენ და საჯაროდ მას ხოტბას ასხამენ, მაგრამ ეს სიძულვილი ბოლომდე არ იმალება.

უბედურება ის არის, რომ დენდროლოგიური პარკის მოწყობაზე გადართული ბიძინა ამას ვერ ხვდება. მას სრულ მარტოობაში მოუწევს ყოფნა, თუ აქედან დასკვნები არ გამოიტანა.

– ამ თემაზე მან უკვე ღიად დაიწყო საუბარი და იქნებ დასკვნებიც გამოიტანოს.

– მისი საუბრიდან არ ჩანდა, რომ დასკვნები გამოაქვს. პოლიტიკოსს, გნებავთ, საზოგადო მოღვაწეს, თუ თვითკრიტიკის გრძნობა მოეშალა, იმ წამიდან მისი საქმე წასულია.

შენს თავს გვერდიდან თუ არ შეხედე, შეცდომები არ აღიარე და მხოლოდ წარსული ქმედებების იმედად იყავი, ჩათვალე რომ დამთავრებული ხარ. თვითკრიტიკის უნარი საქართველოში ბევრს წაერთვა და ყველამ ცუდად დაამთავრა. ივანიშვილიც ამ უნარის გარეშეა დარჩენილი.

ეს უნარი რომ ჰქონოდა, ახლა არ აღიარებდა, რომ მისმა გუნდმა ქვეყანა კიდევ უფრო გააუბედურა და დააქცია. არც საკადრო პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებს აღიარებს. ამიტომაც უთხრიან მას მისი კადრები ძირს.

სათანადო დასკვნები ვერ გამოაქვს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ შეწუხებულია. ეს მის საუბარსა და გამომეტყველებაშიც ჩანდა. ძველებურად ყინჩად ვეღარ იყო – საქართველოს მოსახლეობას აღარ ასწავლიდა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. ჭკუის სწავლების ნაცვლად ახლა მოსახლეობას შესჩიოდა, რომ გუნდის წევრებმა ობსტრუქცია მოუწყვეს.

– თქვენ გჯერათ, რომ ობსტრუქციას უწყობდნენ?

– ამაზე უკვე დიდი ხანია ვსაუბრობ. დარწმუნებული ვარ, თანაგუნდელები მას გადაგდებას უპირებენ. თავად თქვა, პოლიტიკაში რომ არ დავბრუნებულიყავი, კვირიკაშვილი ჩემს სატელეფონო ზარებსაც აღარ უპასუხებდაო.

„ბოცნების“ ლიდერს ბევრი სალაპარაკო არც აქვს. საშინელ მდგომარეობაშია ქართული ბიზნესი, რასაც საგულდაგულოდ მალავენ. მალავენ „სოკართან“ გაფორმებულ ხელშეკრულებასაც. ამ კომპანიას 9.5 მილიონ დოლარად მიჰყიდეს გაზსადენის მილები.

თავის ბოლო ინტერვიუში ივანიშვილმა ისიც გაამხილა, რომ პოლიტიკური პროცესების საქმის კურსში ყოფნას ცდილობდა. არადა, აქამდე ამტკიცებდა, პოლიტიკას ჩამოვშორდიო. მისი სიტყვებია, გარედან ჩემი კონტროლი საკმარისი არ იყო და იძულებული გავხდი, ამ საქმეში ჩავრთულიყავიო.

როდესაც ის პოლიტიკაში მეორედ მოვიდა, მაშინ გითხარით, რომ დაბრუნების მიზეზი პოზიციების შერყევა იყო. ეს რომ ასეა, ივანიშვილმა თავად დაადასტურა და მდგომარეობის შესაცვლელად მართვაში ჩაერთო.

მან არაფერი თქვა იმ გზებზე, რომელმაც საქართველო უკეთესობისკენ უნდა წაიყვანოს. სამაგიეროდ, ბევრი ისაუბრა ყიდვა-გაყიდვაზე, რაც მთავარია, საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და საგარეო აქცენტებზე ერთი წუთი და 15 წამი ისაუბრა, ხეების გადატანაზე კი 25 წუთი ილაპარაკა.

– ხეების გადატანა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვეყნის საგარეო პოლიტიკა?

– მისთვის ხეების გადატან-გადმოტანა უფრო საინტერესოა. პოლიტიკას რაც შეეხება, ეს საქმე არ იცის. რატომ არ იცის? ინფორმაცია არა აქვს. მას ინფორმაციას თავისი ხელის გოგო-ბიჭები უნდა აწვდიდნენ, რომლებიც წურბელებივით არიან მიმსხდარნი მის „ქართუ ბანკზე“. ამ ხალხისთვის ივანიშვილი მანამდე იქნება მეწველი ძროხა, სანამ ახალ პატრონს არ მოძებნიან.

ყოფილმა პრემიერმა ბევრი ისაუბრა გაჭირვებაზე, მაგრამ ქვეყანაში გამეფებულ სიღარიბეზე პასუხისმგებლობას არ გრძნობს. ის პასუხისმგებლობას არც სისხლიან სპეცოპერაციებსა და ჩავარდნილ საგარეო პოლიტიკაზე გრძნობს.

ფაქტობრივად, გვითხრა ის, რომ 6 წელი პოლიტიკურ საღათას ძილში ამყოფებდნენ. ეს ადამიანი აპირებს, სათავეში კიდევ 12 წელი იყოს.

– 2030 წელი უცნაურად აქვს მას აჩემებული, მაგრამ არანაკლებ უცნაური განცხადება გააკეთა პრეზიდენტობის კანდიდატებთან დაკავშირებით. დარჩა შთაბეჭდილება, რომ მმართველი პარტია თავისი კანდიდატურის დასახელებას არ აპირებს და ერთ-ერთ ოპოზიციონერ კანდიდატს დაუჭერენ მხარს. ყველაზე მეტი ეჭვი „ევროპული საქართველოს“ კანდიდატ დავით ბაქრაძეზეა.

– არაფერი გამორიცხული არ არის. მმართველ პარტიას ტყუილად კი არ შევარქვი „ბოცნება“. ბოკერიას გუნდთან ივანიშვილს საეჭვოდ კარგი ურთიერთობები აქვს.

ის კარგად ხედავს, რომ „ოცნებაში“ დასაყრდენი არა აქვს და ცდილობს, ბოკერიას ფრთასთან გამონახოს საერთო. არც ის არის შემთხვევითი, რომ „ევროპულ საქართველოს“ პარლამენტში სასათბურე პირობები აქვს შექმნილი.

მმართველი პარტია საკუთარი კანდიდატურის შერჩევასაც შეეცდება, მაგრამ, თუ ვერ შეარჩევენ, ივანიშვილი მხარს დაუჭერს ბაქრაძეს.

– ამის გაკეთება მის იმიჯზე ცუდად არ იმოქმედებს?

– ამას პირდაპირ არ გააკეთებს, ისევე ფარულად დაუჭერს მხარს, როგორც ბოკერიას უჭერს. არ გამოვრიცხავ, მთაწმინდის ვარიანტი გაითამაშონ და ვითომ დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს დაუჭირონ მხარი.

თავის გამოსვლაში ივანიშვილმა იმდენი აქო პარლამენტი, რომ ცხადია, მასზე დიდი გავლენა აქვთ ჩუგოშვილსა და კობახიძეს. ბიძინას პრეზიდენტობის კანდიდატად ძალიანაც უნდოდა ჩუგოშვილის კანდიდატურის დასახელება, მაგრამ ასაკმა არ შეუწყო ხელი.

– „ოცნების“ ლიდერი ბანკებსაც დაუპირისპირდა და განაცხადა, რომ ორმა ბანკმა გადაჭამა ქვეყანა. ეს რას ნიშნავდა?

– ეს იმას ნიშნავს, რომ ცდილობს, ყველაფერი გიორგი კვირიკაშვილს დააბრალოს. რამდენიმე თვის წინ გითხარით, რომ ის მამუკა ხაზარაძის დახმარებით ცდილობდა პოზიციების გამყარებას. ყოფილი პრემიერის ქმედებებზე იმდენი ვისაუბრე, ტომები დაიწერება, მაგრამ ყველაფრის მისთვის დაბრალება არ შეიძლება.

ბანკებმა მართლა გადაჭამეს ქვეყანა და ხალხი, მაგრამ ეს ეროვნულ ბანკს უნდა დაერეგულირებინა. ივანიშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ბანკებს ეროვნული ბანკი უწესებს რეგულაციებს. ეს თუ არ იცის, ძალიან ცუდია.

– ბანკებმა რომ ქვეყანა გადაჭამეს, ივანიშვილს ამის შესახებ აქამდე ინფორმაცია არ ჰქონდა?

– ამ ყველაფრის შესახებ ის საქმის კურსში იყო, მაგრამ პროცესებში არ ერეოდა. ასე იყო მანამ, ვიდრე საქმე ლამის მის ჩამოგდებამდე არ მივიდა.

ასეულობით მილიონის გაქრობაზეა საუბარი, ამდენი თანხა ასე უცბად არ გაქრებოდა. ამდენი ხანი რას უყურებდა ივანიშვილი, ან თავად რატომ არ უნდა აგოს ამაზე პასუხი? კვირიკაშვილი პრემიერად მან დასვა. მანვე მოიყვანა მთავრობაში ქუმსიშვილი. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მაშინ უნდა გაეგდო, პარლამენტში როცა თქვა, ბღუჯა ფული რომ დავინახე, გამაჟრიალაო.

დაიმახსოვრეთ, „ქართული ბოცნება“ არის კულაკური ფსიქიკის მდაბიორების გაერთიანება. ისინი ორ საქმეში არიან გაწაფული – როგორ შეუძვრნენ ერთი მიმართულებით ივანიშვილს და როგორ გამოიყენონ ეს მდგომარეობა გამდიდრებისთვის. მეტი მათ არაფერი უნდათ და არც შეუძლიათ. გარდა ამისა, ეს ადამიანები ყოველივე კარგისა და ნიჭიერის მიმართ დაკომპლექსებული არიან.

მათ სულ ფეხებზე ჰკიდიათ, არსაიდან მოყვანილი აჭარის მთავრობის მეთაური ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში მეჩეთის დადგმას რომ ითხოვს. ამ კულაკებს სულ ფეხებზე ჰკიდიათ, საქართველოს საზღვრები ყოველდღე რომ მცირდება. ფეხებზე ჰკიდიათ, დემოგრაფიული მდგომარეობა რომ უარესდება. საერთოდ აღარ ახსოვთ დაკარგული ტერიტორიები.

აი, ასეთი ხალხია სათავეში, ისინი ახლა კი უძვრებიან ივანიშვილს, მაგრამ, თუ დასჭირდათ, მას ჩამოაგდებენ და მეფე ლირივით ყველაფრის გარეშე დატოვებენ.

– ივანიშვილი მოიცილებს მათ თუ ისინი ჩამოაგდებენ მას?

– ივანიშვილი ამ ხალხს ვერ ჩამოიცილებს. ერთ ნაკადს გაუშვებს და მეორე ნაკადს მოიყვანს, სადაც ისევ კულაკური ფსიქიკის ხალხია.

– საკუთარი თავის მტერია, ასეთი ხალხი რომ მოჰყავს?

– საკუთარი თავის მტერი არ არის, მაგრამ ღირსეულ ადამიანებს არ იცნობს. მიჩვეულია მონებს და იმას, ხელებზე რომ კოცნიან. არა მყავს ეგ ძველი ბერძენი არისტოკრატი, ერთი ხელით დემოკრატიაზე ტრაქტატებს წერდეს, ხოლო მეორე ხელით ზურგს აფხანინებდეს მონებს.

ახლა სხვა დროა და ეს მონები გადაიყოლებენ მას. მისი ბედი იმდენად არ მაღელვებს, მაგრამ ამას ქვეყანაც გადაჰყვება და ეს არის უბედურება.

რუსულ ვერტმფრენს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ფრენა არ განუხორციელებია

სუს-ის ინფორმაციით, რუსულ ვერტმფრენს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ფრენა არ განუხორციელებია. ის ოკუპირებული ცხინვალიდან ოკუპირებული ახალგორის მიმართულებით მიფრინავდა. მათივე ცნობით, აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

– აღნიშნულ ვერტმფრენს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ფრენა არ განუხორციელებია. ოკუპირებული ცხინვალიდან ოკუპირებული ახალგორის მიმართულებით მიფრინავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ცხელი ხაზი გააქტიურებულია და ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, – აცხადებენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

თემურ ჭკუასელი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

„მე არ მინდა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი არ გვყავდეს და ოპოზიციონერი იყოს პრეზიდენტი“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი თემურ ჭკუასელი, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის განცხადებებზე საუბრობს.

– პატონო თემურ, როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს? მან ბევრად უფრო ღიად ისაუბრა, ვიდრე დეპუტატები საუბრობთ.

– ბიძინა ივანიშვილი თავისი გულწრფელობით გამოირჩევა. 1997 წლიდან ვიცნობ და ჩემთვის მასში უმთავრესი ხიბლიც სწორედ ეს არის. ის ალალი და გულღია ადამიანია. როგორც მას სჩვევია, ისაუბრა ისე. თქვა იმ რეალობის შესახებ, რაც ჩვენს ქვეყანაშია დღეს. მთავარი აქცენტი არის ის, რომ დღეს ჩვენს ქვეყანას ეკონომიკურად უფრო უჭირს, ვიდრე დემოკრატიაში. დემოკრატიის თვალსაზრისით ვართ წინ, მაგრამ ეკონომიკურად ჩამოვრჩებითო. ამას რომელი ოპოზიცია აღიარებდა, ის ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებაში იყო და არჩევნები წააგო 2012 წელს. სხვათა შორის, ის ბოღმა მათ დღესაც ვერ მოუნელებიათ და ამიტომ არის, რომ ამდენი სიცრუის ნიაღვარი მოდის მათი მხრიდან.

– ოპოზიციაზე თქვა, რომ ცოტა მეტად მაფასებსო, ვიდრე საკუთარი გუნდი. როგორ ფიქრობთ, რატომ დასჭირდა ამის თქმა?

– მე მაინც მგონია, რომ ეს მაინც ფიგურალურად იყო ნათქვამი და არა ასე პირდაპირი გაგებით. შეუძლებელია, რომ ოპოზიცია უფრო მეტად აფასებდეს, ვიდრე ის ხალხი, რომელიც მან შეარჩია და მან მოიყვანა. როდესაც მისი მისამართით ბრალდებებია, რასაკვირველია, ამას გუნდის წევრებმა უნდა უპასუხონ და ამაზე უარი არ უნდა თქვან, ამ დროს არ უნდა გავჩუმდეთ, რადგან

ოპოზიცია მწარედ ატყუებს საზოგადოებას.

არასდროს უთქვამს, ვინმემ პასუხი გაეცით ამ უმსგავსობასო. ეს არასდროს გამიგია მისგან. პირად მაგალითზე შემიძლია გითხრათ, ორჯერ-სამჯერ შევეცადე, რომ ასეთი ცრუ ბრალდებისთვის საჯაროდ პასუხი გამეცა, მაგრამ გამიბრაზდასავით, მითხრა, არ ღირსო. ამის გამო პირადად თავს ვიკავებდი, რადგან ვიცი, რომ არ იხიბლება მაინცდამაინც ასეთი ქმედებით.

ჩემი აზრით, ყველა ბრალდება, რომლებზეც ოპოზიცია საუბრობს, სათითაოდ უნდა იქნას ჩამოწერილი და პასუხგაცემული. მე პირადად გავაკეთებდი ამას სიამოვნებით.

– საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით მის განცხადებას როგორ აფასებთ? მის განცხადებას, რომ ის მზად არის, ოპოზიციამ წაიღოს პრეზიდენტის პოსტი, არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.

– იმიტომ მოჰყვა ამ განცხადებას ასეთი რეაქციები, რომ უკულმართად გაიგეს. ამაზე ოპოზიციამ აგდებული საუბარი დაიწყო იმის ნაცვლად, რომ ეს ნაბიჯი დაეფასებინათ. ამიტომ, მე უკვე წინააღმდეგი ვარ, რომ ჩვენ მხარი სხვა კანდიდატს დავუჭიროთ და არ გვყავდეს ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი. მე წინააღმდეგი ვარ, რომ ოპოზიციონერი კანდიდატი იყოს პრეზიდენტი. ამას უკვე ღიად ვაფიქსირებ და ამის შესახებ ჩემს პოზიციას ბიძინასაც ვეტყვი.

თავის დროზე ძალიან ბევრი საუბარი იყო კოჰაბიტაციაზე. ჩემთვის სრულიად ნათელი და გასაგები იყო, რა იდო ამ ნაბიჯში. ბიძინას უნდოდა, რომ ბოლოს და ბოლოს დასრულებულიყო დაპირისპირება და ყველა ერთი გზით, ჩვენი ქვეყნის განვითარების გზით წავსულიყავით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უტოპიური იყო ეს იდეა. გამოვიდა?! არ გამოვიდა! ასეთივე უტოპიური რომ არ აღმოჩნდეს და შემდეგ რომ არ ითქვას, ისევ კოჰაბიტაციასთან გვაქვს საქმეო, მე პირადად მხარს არ დავუჭერ ამ იდეას.

– შეიძლება, მისი აზრი არც გავიდეს? თუმცა კი თქვა, რომ შეიძლება, არ დამეთანხმონ.

– რასაკვირველია, ამ საკითხზე გუნდში საუბარი იქნება. საბოლოოდ როგორ გადაწყდება, ნამდვილად ვერ გეტყვით, არ ვიცი. თუმცა, მე ჩემი პოზიციის შესახებ უკვე გითხარით. ვნახოთ. ჩემი ეს პოზიცია განპირობებულია იმით, რომ ეს ადამიანი არ ჩააყენონ ისეთ სიტუაციაში, რომ შემდეგ თავის მართლება დასჭირდეს.

– გამორიცხავთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა სალომე ზურაბიშვილს დაუჭიროს მხარი?

– თუ „ქართული ოცნება“ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავდეს და სალომე ზურაბიშვილი დააყენებს თავის კანდიდატურას, მაშინ გადაწყდება და ჩვენ მხარს დავუჭერთ.

– ამბობენ, რომ გუნდის ნაწილი ბიძინა ივანიშვილს ეუბნება, თავად იყაროს კენჭი.

– რა თქმა უნდა, ეს ყველაზე სწორი და კარგი გადაწყვეტილება იქნებოდა, მაგრამ 99%-ით გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი კანდიდატურა დააყენოს.

– რატომ?

– კარგად ვიცნობ. ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, რომელსაც თავისუფლება უყვარს და თან ის ქვეყანას ეხმარება იმ პოზიციიდან, რაზეც დღეს არის. ის, რომ ერთი დიდი საქმე იტვირთა – პარტიის ლიდერობას დაუბრუნდა, ესეც მძიმე ნაბიჯი იყო.

– ხშირად მოდის პარტიაში?

– რა თქმა უნდა. მე აღარ ვარ პოლიტსაბჭოს წევრი და ასე აქტიურად არ ვარ ჩართული.

– გიორგი კვირიკაშვილზეც მინდა გკითხოთ, თუ ასეა, მაშინ რატომ გაექცა ივანიშვილს სადავეები?

– ადრეც მითქვამს და ახლაც ვამბობ: კი ამბობდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე არაფერი ხდება და არაფორმალურად მართავსო, მაგრამ მე ვიცი, თუ ენდობა ადამიანს, ის ბოლომდე ენდობა და აღარ ერევა, ზუსტად ასე იყო. მერე გამოჩნდა ერთი-ორი მომენტი, რაღაც ინფორმაცია დაუმალეს, დეტალებში არ შევალ.

– ამაზე თვითონ ისაუბრა ივანიშვილმა.

– დიახ, ამას გეუბნებით, დეტალებში აღარ შევალ, ძალიან ცუდი სიტუაცია შეიქმნა ამასთან დაკავშირებით.

– ეს იყო მთავარი მიზეზი თუ კიდევ იყო რამე?

– კიდევ იყო რაღაცები, რაზეც თვითონ არ ილაპარაკა, ამიტომ მე არ ვისაუბრებ.

„ჭარბვალიანობასთან დაკავშირებული სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება“

– ჩვენ უკვე შემოვიღეთ და დავაანონსეთ „პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების ნდობა ქვეყანაში“ და გავასაჯაროვეთ დებულების პროექტი „პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების“ შესახებ. ამის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ სესხების გაცემა არ უნდა მოხდეს შემოსავლების დადასტურების გარეშე, – ასე უპასუხა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვას, რომელიც ბანკებთან მიმართებით საქართველოს ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას შეეხებოდა.

– ეროვნული ბანკი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, მე არ ვაკეთებ პოლიტიკურ განცხადებებს. ეროვნული ბანკის ფუნქცია და მოვალეობა არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობის შეფასება. ჩვენ არსებულ სიტუაციას ვიღებთ, როგორც მოცემულს. შესაბამისად, ჩვენი მანდატიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე წარვმართავთ ჩვენს პოლიტიკას. ასე რომ, ჩემი პასუხი ამ მხრიდან იქნება გაცემული.

ეროვნული ბანკის მანდატი არის ფინანსური სტაბილურობა და ფინანსური სისტემის გამჭვირვალობის მხარდაჭერა. ამ კუთხით თუ შევხედავთ ჩვენ ბევრი ანალიზი მივაწოდეთ საზოგადოებას ამასთან დაკავშირებით. შარშანაც ვსაუბრობდით ამ საკითხებზე და გარკვეული ზომები გავატარეთ ამ საკითხზე. რაც შეეხება 2018 წელს, 1-ელ მარტს გამართულ ფინანსური სტაბილურობის კომიტეტში აღვნიშნეთ, რომ ეს არის საკითხი ჭარბვალიანობასთან

დაკავშირებით. ეს სიტუაცია, რა თქმა უნდა, კონტროლს ექვემდებარება. ამასთან, დავძენ, რომ რადგან ეს არის გლობალური მიმართულება და ტრენდი, ჩვენც აუცილებლად ვაანალიზებთ ამ მიმართულებას და ვაქცევთ ყურადღებას. აქედან გამომდინარე უკვე შემოვიღეთ და დავაანონსეთ „პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების ნდობა ქვეყანაში“ და გავასაჯაროვეთ დებულების პროექტი „პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების“ შესახებ და ამის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ სესხების გაცემა არ უნდა მოხდეს შემოსავლების დადასტურების გარეშე.

მოგეხსენებათ, რომ ეს დებულება არის ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

მეორე მხრივ, 7 მაისს ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, შეგვეზღუდა ისეთი სესხების გაცემა, რომლებიც შემოსავლების შემოწმების გარეშე გაიცემოდა.

ეს არის ჩვენი ანალიზი და რეაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენთვის ეს არის ფინანსური სტაბილურობის საკითხი, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

კითხვაზე: შეეძლო თუ არა ჭარბვალიანობის გამოწვევა ორ ბანკს, თუ ამის მიზეზი არსებული დამატებითი რეგულაციებია, გვენეტაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა რეგულაციები.

– თუ ერთ ჩარჩოში არ იქნება მოქცეული, ყოველთვის იქნებიან ის ორგანიზაციები, რომლებმაც შეიძლება ხმაური შეიტანონ ამ მიმართულებით, ამიტომ არის იმ პაკეტის მიღება მნიშვნელოვანი, რომელიც აღვნიშნე, – განაცხადა გვენეტაძემ.

ბპნ

თბილისში „ვირტუალური მუზეუმი“ იხსნება – რა ეღირება მუზეუმში ვიზიტი

თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, „ვირტუალური მუზეუმი“ აგვისტოს ბოლოს გაიხსნება. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ განუცხადა.

მისი თქმით, ბილეთის ფასი 7-დან 10 ლარამდე იქნება და ვიზიტორებს მულტიმედიური სათვალით პირველ ეტაპზე 10 ძეგლისა და მათი რეაბილიტაციის პროცესის დათვალიერება შეეძლებათ.

ამასთან, ვირტუალური მუზეუმი გათვლილი იქნება როგორც ტურისტებზე, ისე ადგილობრივ დამთვალიერებლებზე.

– პროექტი უკვე დასრულების ნაწილშია. ჩვენ ასევე ვმუშაობთ იმ აპარატურის შერჩევაზე, რომელიც მუზეუმისთვის დაგვჭირდება. ვფიქრობთ, რომ ზაფხულის ბოლოს, სექტემბრის დასაწყისისთვის გაიხსნება. უკვე მოხდა ვარძიის სრული სკანირება, რათა ტური გაკეთდეს ვარძიაში, ისევე როგორც სხვა ისტორიულ ობიექტებში. წელს მაქსიმუმ 10 ძეგლი იქნება, შემდეგ კიდევ დაემატება. როდესაც დამთვალიერებელი შევა, მას შეეძლება ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების სრულფასოვანი დათვალიერება, – აცხადებს ნიკოლოზ ანთიძე.

მისი თქმით, 10 ძეგლში მოხვდა: მუცო, უფლისციხე, ვარძია, ენგურჰესი და ასევე გერგეტის სამება.

რაც შეეხება მენეჯმენტს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ინფორმაციით, შესაძლოა, პირველ ეტაპზე მუზეუმის მენეჯმენტი თავად სააგენტომ განახორციელოს, შემდეგ კი შერჩეულ ორგანიზაციას გადააბაროს.

– მენეჯმენტზე ჯერ ვმუშაობთ. განვიხილავთ, რომელი ჯობია, ვინ იქნება პარტნიორი და ა.შ. მომსახურება

უნდა იყოს ძალიან მაღალი კლასის, აქედან გამომდინარე, რამდენიმე ორგანიზაციასთან მიმდინარეობს კონსულტაციები.

შესაძლებელია, პირველ ეტაპზე თვითონ სააგენტომ განახორციელოს მუზეუმის მენეჯმენტი. ამიტომ, ამაზე ჯერჯერობით ბოლომდე ჩამოყალიბებული პოზიცია არ გვაქვს, – აცხადებს ნიკოლოზ ანთიძე.

როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი აცხადებს, პროექტის საინვესტიციო ღირებულება ჯერ დათვლილი არ არის, თუმცა სამუშაოებს სააგენტო საკუთარი შემოსავლებით ახორციელებს.

– საინვესტიციო ნაწილი პროექტის დასრულების შემდეგ იქნება ცნობილი. ეს ძალიან დიდ თანხებთან არ არის დაკავშირებული და სააგენტო საკუთარი შემოსავლებიდან ახორციელებს, ანუ საბიუჯეტო სახსრები არ მოხმარდება. ამასთან, მუზეუმში გაიყიდება ბილეთები, რომლის ღირებულებაც დაახლოებით, 7-დან 10 ლარამდე იქნება, – აცხადებს ნიკოლოზ ანთიძე.

ბპნ

„ახალი რეგულაციების ეფექტს ბანკები წლის ბოლოს იგრძნობენ“

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი გიორგი კეპულაძე მიიჩნევს, რომ ივნისში ბანკების მოგების მაჩვენებლის განახევრება, შესაძლოა, გარკვეულწილად ახალ რეგულაციებს უკავშირდებოდეს.

– მოგების მაჩვენებელი ცვალებადია. ის ხან იზრდება, ხან მცირდება. რაც შეეხება ახალ რეგულაციებს, ამ ეფექტს, ბანკები უფრო შემდეგ თვეებში და წლის ბოლოს იგრძნობენ, როცა მაისიდან ამოქმედებული რეგულაციები სრულად აისახება შემოსავლებზე, მოგებასა და ბრუნვაზე, თუმცა ივნისის თვის მოგების მაჩვენებელი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ახალ რეგულაციებს, – განუცხადა კეპულაძემ bm.ge-ს.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ამას, ბანკებში სამუშაო ადგილების შემცირება, ბიზნესმოდელების შეცვლა ან პრიორიტეტების გადანაწილება მოჰყვეს.

„შემდეგ თვეებში უფრო ნათელი სურათი გვექნება“, – აღნიშნა კეპულაძემ.

შეგახსენებთ, რომ ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში (იანვარ-ივნისში) საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 410 მლნ ლარი შეადგინა, რაც 37.5 მლნ ლარით (8.4%-ით) ნაკლებია 2017 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელზე. ცალკე აღებულ ივნისის თვეში ბანკების მოგება 50%-ით, 48 მლნ ლარით შემცირდა და 48 მლნ ლარი შეადგინა.

BM.GE

შოთა მალაშხია: „ივანიშვილმა იცის, რომ „ოცნების“ კანდიდატი არჩევნებს წააგებს“

„ჩვენი ამოცანა საპრეზიდენტო არჩევნებით არ შემოიფარგლება“

მარიამ მჭედლიშვილი

ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ შოთა მალაშხიას.

– ოპონენტებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილმა ფეხი შეაწმინდა გადამდგარ პრემიერ კვირიკაშვილს.

– მისთვის პრობლემების გადაბრალება აუცილებელი გახდა. ინტერვიუში დამტკიცდა, რომ ბიძინა ივანიშვილი მეტ-ნაკლებად ადეკვატურად უყურებს შექმნილ მძიმე სიტუაციას. მას გაცნობიერებული აქვს, რომ „ოცნებას“ აღარავინ ენდობა, სიღატაკის მასშტაბები დიდია, საზოგადოება ჩავარდნილია ვალებში. ის ეძებს აქედან გამოსავალს.

ივანიშვილისთვის გამოსავალი ისრების სხვებზე მიმართვაა. არ იფიქროთ, რომ საქმე კვირიკაშვილითადა ქუმსიშვილით დასრულდება. გადაბრალებები გაგრძელდება. გასაოცარია, რომ პრემიერად შეირჩა კაცი, რომელიც კვირიკაშვილის მთავრობის ფინანსთა მინისტრი იყო. თუ ამ ბლოკის ერთი წარმომადგენელი ცდებოდა ან რამეს მალავდა, რას აკეთებდა ბახტაძე?

– გადაბრალების მეთოდი სხვებზეც გავრცელდება?

– რასაკვირველია. ყველა იქნება დამნაშავე, ბიძინა ივანიშვილის გარდა. თვითონ არ აპირებს მმართველობის სტილისადა ცხოვრების წესის შეცვლას. ყველაფერი ძველებურად იქნება – ხეების ამოთხრა და ტრანსპორტირება. ბიძინა ივანიშვილი ისევ ჩაერევა პროცესებში და დაგვარწმუნებს იმაში, რომ დემოკრატიის დონით საქართველომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს გაუსწრო. ის საუბრობს ისე, თითქოს მთელ საზოგადოებას წარმოადგენდეს.

– სიღატაკის პრობლემა მან ჭარბვალიანობას დაუკავშირა. ესეც უსერიოზულესი სატკივარია, მაგრამ სიღატაკე ხომ უფრო მასშტაბური მოვლენაა და ღატაკია არა მხოლოდ ის, ვინც ვალი აიღო?

– ჭარბვალიანობა და ორი ბანკი მან უფრო მეტად იმიტომ ახსენა, რომ ცუდი ეთქვა თიბისიზე და „საქართველოს ბანკზე“. ივანიშვილის გადმოსახედიდან ეს ორი ბანკია დამაქცევარი, მისი კუთვნილი „ქართუ“ კი კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება.

ამაზე გაგვახსენდა მისი წინასაარჩევნო დაპირებები ნულოვან ან მცირეპროცენტიან სესხებზე. ამ კრედიტების პროცენტი არ უნდა ასცილებოდა 3%-ს. თუ ჭარბვალიანობა და მაღალი პროცენტები აწუხებს, თვითონ დასწიოს პროცენტი!

სიღატაკე მართლაც სხვა კატეგორიის მოვლენაა. ჩვენ ეკონომიკაში ხან ზრდა არ გვაქვს, ხან მიზერული ზრდაა. ეკონომიკა მოიცვა კორუფციამ და ნეპოტიზმმა. ეკონომიკაში დაბრუნდა კრიმინალი. დამნაშავეთა სამყარო უკვე წილებს მოითხოვს. ამით დავაბრუნეთ შევარდნაძის დრო.

ასეთ ეკონომიკაში სიღატაკე ვერ დაიძლევა. ახლანდელმა ეკონომიკის მინისტრმა, რომელიც მოსკოვიდან ჩამოიყვანეს, აღნიშნა, რომ ეკონომიკის ზრდა მისი მთავარი ამოცანა არ არის. ეს კაცი მინისტრად დამტკიცების შემდეგ სასწრაფოდ დაბრუნდა რუსეთში ბიზნესის საკითხების დასალაგებლად. როცა მინისტრი ხარ, სხვა ქვეყანაში ჩასვლა უკვე ოფიციალური ვიზიტია. არ აქვს მნიშვნელობა, რა მოტივს მოიტანგამგზავრების მიზეზად.

– ბევრს უკვირს, რომ ეკონომიკის მინისტრად მოსკოვში მომუშავე ექიმი დაამტკიცეს.

– მას ექნებოდა ბიზნესში სერიოზული გადაკვეთა ბიძინა ივანიშვილთან. კომპეტენტური და წესიერი ადამიანი, თუ მას თავისუფლება არ ეძლევა, ამ პოსტს არ დათანხმდება. უნდა იყო მზად იმისთვის, რომ ყველა პატარა ნაბიჯი ივანიშვილს შეუთანხმო. შეიძლება ასეთ დროს ქვეყანაში გასაძარცვადაც იყოს ვინმე ჩამოსული. რატომ უნდა მიატოვო საქმიანობა და დათანხმდე ეკონომიკის მინისტრობას პრობლემებით სავსე ქვეყანაში! ივანიშვილი თან იმას ამბობს, რომ ბევრ რამეში არ ერევა, თან აღნიშნავს, რომ მასთან კონსულტაციებს გადიან. ეს ყოფილა დემოკრატიის უმაღლესი ხარისხი.

– უკვე დავასკვენით, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნება “ თავისი რიგებიდან კანდიდატს არ ასახელებს. ამის კონტექსტში ივანიშვილმა ახსენა მრავალპარტიულობა და შანსი ოპოზიციისთვის.

– მან, ამავე დროს, კანდიდატები ჩამოთვალა. წულუკიანი იქნება, სუბარი თუ ზურაბ აბაშიძე, მათ ხალხი არ აირჩევს. კრახის თავიდან ასაცილებლად ის უფრო შორიდან დაუჭერს მხარს ე.წ. დამოუკიდებელ კანდიდატს. მასაც არ აირჩევენ, მაგრამ, მისი გათვლით, მოხდება კრახის გადადება.

– სხვა კანდიდატს აქვს გამარჯვების შანსი?

– დიახ და ეს ივანიშვილმაც იცის. ჩვენმა გაერთიანებამ „ძალა ერთობაშია“ დავასახელეთ ისეთი ადამიანი, რომელიც მოწონებულია ბევრი ჯგუფისა და სუბიექტის მიერ. ის არაა ერთი პარტიის კანდიდატი. გრიგოლ ვაშაძე მისაღებია შოთა მალაშხიასთვისაც და თაკო ჩარკვიანისთვისაც.

ივანიშვილი რეალურ ოპოზიციად სწორედ ჩვენს მრავალრიცხოვან გაერთიანებას აღიქვამს. ჩვენი ამოცანა საპრეზიდენტო არჩევნებით არ შემოიფარგლება. პარლამენტის ვადამდელი არჩევნები ისევ დღის წესრიგში დგას. მით უმეტეს, ეს საკითხი უფრო გამძაფრდება იმ კრახის შემდეგ, რომელიც „ოცნებას“ ელოდება.

ზურაბ ჯაფარიძე: „ბანკები ახლა ზეგათავხედებულები არიან“

წლების განმავლობაში, ყველა ხელისუფლების პირობებში, ბანკებმა მთავრობებთან ალიანსით ბაზარზე ისეთი დომინანტური პოზიციის მოპოვება მოახერხეს, რომ ახლა ზეგათავხედებულები არიან – უფრო მეტიც, პრაქტიკულად აშანტაჟებენ სახელმწიფოს.

ამის შესახებ გირჩის პრეზიდენტობის კანდიდატი ზურაბ ჯაფარიძე აცხადებს.

მისი შეფასებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ბიძინა ივანიშვილის კომენტარი ბანკების შესახებ გამოწვეული იყო იმით, რომ ბანკების კრიტიკა პოლიტიკურად ყველაზე მომგებიანი თემაა.

ჯაფარიძის თქმით, ამასვე აკეთებენ სისტემატურად ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი.

არსებობს თუ არა ჭარბვალიანობა? – ზურაბ ჯაფარიძის განმარტება: 2007 წლამდე ფიზიკურ პირებზე სესხებიდან ჯამური შემოსავლები კომერციულ ბანკებში, დაახლოებით, 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე იურიდიულ პირებზე სესხებიდა. 2012-ისთვის, დაახლოებით, თანაბრდება. ახლა კი, პირიქითაა – ფიზიკურ პირებზე სესხებიდან შემოსავლები, დაახლოებით, 2-ჯერ მეტია, ვიდრე იურიდიულ პირებზე სესხებიდან. ამას, შეიძლება, უძახო ჭარბვალიანობა, თუმცა სინამდვილეში ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ამ ქვეყნის სულ უფრო მეტმა მოქალაქემ შეძლო ბანკების მიერ დაყენებული ფილტრის (შემოსავლის დადასტურება, საგარანტოდ ქონების გამოყენება და სხვა) გავლა.

სარგებლობენ თუ არა ბანკები ბოროტად არსებული მდგომარეობით? -ზურა ჯაფარიძის განმარტება: კი, სარგებლობენ. ისინი ლობირებენ ისეთ რეგულაციებს, რომლებიც ვითომ მოსახლეობის კეთილდღეობისკენაა მიმართული, მათი დაცვისკენ, სინამდვილეში კი ასეთი რეგულაციებით ბაზრიდან დევნიან პატარა მოთამაშეებს და ზრდიან საკუთარ მოგებას. რეგულაციების გამო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხები 2017-ში 2016 წელთან შედარებით თითქმის მილიარდით შემცირდა. სად წავიდა ეს ხალხი? ცხადია, ბანკებს მიადგებოდნენ.

ახალი რეგულაციების შედეგიც იგივე იქნება. რეგულაცია ხარჯია, რომელიც პატარა მოთამაშეებს ანგრევს, ხოლო მსხვილი ბანკები კი ამას იტანენ და, შესაბამისად, ბაზარზე მარტო რჩებიან.

რატომ არ იწევს პროცენტი, როცა ამხელა მოგებაზე მუშაობენ? – ზურა ჯაფარიძის განმარტება: უკვე ბევრი წელია, პროცენტი იწევს ნელნელა, მაგრამ პროცენტი, იგივე ფულის ფასი, მოგებულის მოცულობაზე არ არის დამოკიდებული. ის დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდებაზე და სანამ არსებობს სესხზე მოთხოვნა არსებულ ფასში, ბანკი პროცენტს არ დასწევს.

ბანკების არაპროფილური საქმიანობა? – ის, რომ კომპანიებს ბანკებისთვის საკუთარი შიდა სამზარეულოს სრულად ჩვენება უწევთ, რითიც შემდეგ სარგებლობენ ბანკები და შედიან ბიზნესის სხვადასხვა სფეროში (მშენებლობა, ჯანდაცვა, დაზღვევა, ლუდი! და ა.შ.), ასევე გამოწვეულია ბანკების გათავხედებული მდგომარეობით და კონკურენციის ნაკლებობით, რაც თავის მხრივ რეგულაციებითა და ბანკების მხრიდან საკუთარი ინტერესების წარმატებული პოლიტიკური ლობირებითაა გამოწვეული. ანუ პრობლემა არის ის, რომ წლების განმავლობაში, ყველა ხელისუფლების პირობებში, ბანკებმა მთავრობებთან ალიანსით ბაზარზე ისეთი დომინანტური პოზიციის მოპოვება მოახერხეს, რომ ახლა ზეგათავხედებულები არიან – უფრო მეტიც, პრაქტიკულად აშანტაჟებენ სახელმწიფოს, რადგან თუ მათ პრობლემა შეექმნებათ, ეს ჩამოშლის არა მხოლოდ ფინანსურ სექტორს, არამედ მთელ ეკონომიკას (რაც სიმართლესთან ახლოსაა).

გამოსავალი არის მეტი კონკურენცია! ბაზრის გათავისუფლება და ახალი მოთამაშეების მარტივად დაშვება ბაზარზე, მათ შორის უცხოური მოთამაშეებისაც. ნებისმიერი მცდელობა ბანკების შეზღუდვის ახალი რეგულაციებით, დასრულდება ამ ბანკების კიდევ უფრო გაძლიერებითა და მათი მოგების კიდევ უფრო გაზრდით!

რას აკეთებს მთავრობა?

– არა მხოლოდ იღებს ახალ რეგულაციებს, არამედ აკანონებს სავალდებულო დაგროვებით პენსიას და სახელმწიფო საპენსიო ფონდის მილიარდებს ახუტებს მსხვილ ბანკებს. აი, ამის მერე ნახეთ ბანკების თავგასულობა! – აცხადებს ზურაბ ჯაფარიძე.

იპრესს

ზოგიერთი ტიპის საწვავი კიდევ გაძვირდა

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ზოგიერთ ბრენდირებულ სადგურზე ზოგიერთი ტიპის საწვავი კიდევ გაძვირდა. კერძოდ, ფასებმა ზოგიერთი ტიპის საწვავზე 2-5 თეთრით მოიმატა. როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ვებ-გვერდზეა აღნიშნული, დღეის მდგომარეობით, ზოგიერთი ტიპის საწვავი გაძვირდა „სოკარის“ ავტოგასამართ სადგურებზე. კერძოდ, 1 ლიტრი „პრემიუმის“ ფასი – 2.51 ლარია, მაშინ როცა 9 ივლისის მდგომარეობით, 2.48 ლარი ღირდა; 3 თეთრით არის მომატებული 1 ლიტრი „რეგულარის“ ფასი და 2.41 ღირს; „სუპერის“ ტიპის საწვავი 2.58 ლარიდან 2.61 ლარამდე გაძვირდა; „ევრო დიზელისა“ და დიზელის ფასი კი არ შეცვლილა და შესაბამისად, 2.48 ლარი 2.38 ლარი ღირს.

9 ივლისის შემდეგ ფასები შეიცვალა „გალფის“ ავტოგასამართ სადგურებზეც. კერძოდ, დღეის მდგომარეობით, 1 ლიტრი „G-Force პრემიუმის“ ფასი 2.47 ლარია, მაშინ როცა 9 ივლისის მდგომარეობით, მისი 2.44 ლარი იყო; 3 თეთრით არის გაძვირებული „G-Force ევრო რეგულარი“ და 2.42 ლარი ღირს; 1 ლიტრი „რეგულარის“ ფასი 2.34 ლარიდან 2.37 ლარამდე გაიზარდა; ხოლო „სუპერის“, „ევრო დიზელისა“ და დიზელის საწვავზე ფასები არ შეცვლილა. კერძოდ, დღეის მდგომარეობით, „ევრო დიზელი“ – 2.49 ლარი; დიზელი – 2.44 ლარი; ხოლო „სუპერის“ ტიპის საწვავი – 2.58 ლარი ღირს.

რაც შეეხება სხვა ავტოგასამართ სადგურებს, 9 ივლისის შემდეგ „ლუკოილის“, „ვისოლისა“ და „რომპეტროლის“ სადგურებზე ფასები არ შეცვლილა.

დღეის მდგომარეობით, „ლუკოილის“ ავტოგასამართ სადგურებზე „პრემიუმ ავანგარდი“ 2.41 ლარი, „ევრო რეგულარი“ 2.29 ლარი; „ევრო დიზელი“ 2.39 ლარი ღირს. „ევრო სუპერის“ ტიპის საწვავის ფასი კი კვლავ 2.53 ლარი ღირს.

„ვისოლის“ სადგურებზე „ეკოპრემიუმის“ ღირებულება 2.55 ლარია; 1 ლიტრი „ევრო რეგულარის“ – 2.45 ლარი; „დიზელ ენერჯის“ ფასი კი – 2.44 ლარს შეადგენს. „ეკო სუპერისა“ და „ეკო დიზელის“ ტიპის საწვავი კი შესაბამისად, 2.65 ლარი და 2.54 ლარი ღირს.

რაც შეეხება „რომპეტროლის“ ავტოგასამართ სადგურებს, „ევრო პრემიუმის“ ფასი 2.55 ლარია; „ევრო რეგულარის“ ტიპის საწვავი 2.45 ლარი ღირს; „ეფიხ ევრო დიზელის“ ფასი დღეის მდგომარეობით, 2.50 ლარი; 1 ლიტრი „ევრო დიზელის“ კი 2.44 ლარია; „სუპერის“ ღირებულება კი 2.65 ლარს შეადგენს.

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განვითარებაში 32 მილიონი დაიხარჯება“

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განვითარებაში 32 მილიონი დაიხარჯება. ამის შესახებ ამბროლაურის მერმა ზვიად მხეიძემ განაცხადა. მისი თქმით, ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება ადგილობრივ ტრანსპორტსაც ექცევა. ამბროლაურის რაიონში წლების განმავლობაში პრობლემას სწორედ ტრანსპორტით გადაადგილება წარმოადგენდა.

მისი თქმით, სოფლების უმეტესობას უკვე ემსახურება ავტობუსი ან სამარშრუტო ტაქსიც. ამასთან, რაჭის სოფლებში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ნაგავსაყრელები წარმოადგენს. ნაგავის ურნების არ არსებობის გამო, მოსახლეობა ნაგავს სხვადასხვა მდინარეებსა და თუ ტყეებში ყრიდა. როგორც ამბროლაურის მერიაში ამბობენ, ნაგავის ურნები თითქმის ყველა სოფელში დაიდგა. ამასთან, ნარჩენებისგან გასუფთავების სამუშაოებიც აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს.

– ადრე იყო ასეთი მიდგომა თუ სოფელში 2 კაცია შესაბამისად მძღოლი მოგებაზე არ არის და არ უნდა ემუშავა ავტობუსს ამ სოფელში. ეს ისედაც ჩვენი პრობლემაა, 2-3 კაცი რომ ცხოვრობს სოფელში. ამიტომ ჩვენ პროგრამა გავაკეთეთ. შესაბამისად, ერთი კაციც რომ იყოს, არ აქვს მნიშვნელობა, ყველა სოფელს ემსახურება შესაბამისად ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი და მათ მინიმალური ფასები დავადეთ, – ამბობს ამბროლაურის მერი ზვიად მხეიძე.

Bm.GE

„მეიდან პარკინგი“: ცენტრალურ უბნებში საათობრივი პარკინგის შემოღება სიტუაციას განმუხტავს

დედაქალაქის ისეთ ადგილებში, სადაც საპარკინგე ადგილებზე მაღალი მოთხოვნაა, ზონალურ-საათობრივი საფასურის სისტემა შემოვა, დანარჩენ ადგილებზე კი პარკირების არსებული სისტემა დარჩება. მერია საპილოტე პროექტს თბილისის რომელიმე ცენტრალურ უბანში მომდევნო წლის დასაწყისში განახორციელებს.

თბილისის მერმაც აღიარა, რომ ცენტრში ავტოპარკინგის პრობლემა ყველაზე მწვავედ ლესელიძის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა. ეს ადგილი ძირითადად ავტოგაქირავების კომპანიებს უკავიათ და მომხმარებელს ავტომობილების გაქირავების სერვისს სთავაზობენ.

რას ფიქრობენ ახალ ინიციატივაზე კომპანიები, რომელიც პარკინგის თემით არიან დაინტერესებულნი?

„კომერსანტი“ კომპანია „მეიდან პარკინგს“ დაუკავშირდა, რომელიც ლესელიძის მოედანზე პარკინგით მომსახურებას „ვალეტსერვისით“ ახორციელებს. კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ლესელიძის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოპარკინგის პრობლემა მწვავედ დგას და მიაჩნიათ, რომ თბილისის მერიის ინიციატივა ცენტრალურ უბნებში საათობრივი პარკინგის შესახებ სიტუაციას განმუხტავს:

– ლესელიძის ქუჩაზე საათობრივი პარკინგი იქნება გამართლებული, რადგან, ფაქტობრივად, აქ მთლიანი გამოყოფილი ფართი დაკავებული აქვთ მანქანების გაქირავების კომპანიებს.

თვეობით უკავიათ მანქანებს ეს ადგილი და იყენებენ ჩვეულებრივ, როგორც გარე რეკლამას. არ ხდება ამ ადგილების გამოყენება რეალური მომხმარებლის მიერ, რომელსაც სჭირდება პარკირება, – ამბობს „კომერსანტთან“ საუბარში „მეიდან პარკინგის“ იურისტი ელისო შენგელია.

„მეიდან პარკინგი“ ავტომობილების პარკირების სეგმენტში 5 წელია ოპერირებს და მძღოლებს „ვალეტსერვისს“ სთავაზობს, ანუ მძღოლი ტოვებს ავტომობილს პარკინგის ტერიტორიაზე და „მეიდან პარკინგის“ თანამშრომლებს მანქანა რიყის მიწისქვეშა ავტოსადგომზე გადაჰყავთ. არსებული საპარკინგე სისტემა წლებია ემსახურება მიმდებარე ბიზნესცენტრებს, სასტუმროებს, მუზეუმებს, კაფე-ბარებს, ღია რესტორნებით დატვირთულ რამდენიმე საფეხმავლო ქუჩას. „ვალეტპარკინგის“ შემდგომ, მოთხოვნიდან 10-15 წუთში, სერვისის თანამშრომელს რიყის ავტოსადგომიდან უკან გადმოჰყავს მანქანა და აბარებს მძღოლს. ამ სერვისის საშუალებით 25-ადგილიანი პარკინგის ტერიტორიიდან ყოველდღიურად დაახლოებით 250 ავტომობილის გადაყვანა ხერხდება. თუმცა „მეიდან პარკინგის“ იურისტმა ელისო შენგელიამ კომერსანტთან საუბარში აღნიშნა, თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახური გორგასლის მოედანზე საზოგადოებრივი სივრცის მოწყობას გეგმავს.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, კომპანია „მეიდან პარკინგსა“ და თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახურს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება გორგასლის მოედანზე „ვალეტ სერვისის“ (მანქანების პარკინგის) საკითხზე.

„მეიდან პარკინგის“ იურისტ ელისო შენგელიას განცხადებით, ცალსახად გადაწყვეტილება კომპანიისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე თბილისის მერიაში ჯერ მიღებული არ არის:

– მერიის ქონების მართვის სამსახური ამბობს, რომ გარკვეული საზოგადოებრივი სივრცის შექმნის მიზნით, აპირებენ გააუქმონ „მეიდან პარკინგის“ სერვისი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ჩვენ გავუგზავნეთ მერიას შესაბამისი დოკუმენტაცია, რომ ყველაფერი სწორად გვაქვს გაკეთებული, კანონმდებლობის ფარგლებში. ცალსახად გადაწყვეტილება ამ სივრცის გაუქმების შესახებ მიღებული არ არის. მიმდინარეობს მოლაპარაკება. შეხვედრაც გვქონდა. ოფიციალური შეტყობინება მერიისგან, რომ ჩვენთან გაწყვიტეს ხელშეკრულება ჯერ არ უცნობებიათ. სწავლობენ რამდენად დაინტერესებულია საზოგადოება ამ სივრცის შენარჩუნებით. მომხმარებელმაც მიმართა თბილისის მერიას, ჩვენ რა ინფორმაციასაც ვფლობთ – საზოგადოების დაკვეთაა საპარკინგე სისტემის ინფრასტრუქტურის შექმნა, – ამბობს ელისო შენგელია.

თბილისის მერი კახი კალაძე დედაქალაქში პარკინგის პრობლემის გადაჭრას 8 თვეა უშედეგოდ ცდილობს. ეს საკითხი 4 წლის განმავლობაში ვერც თბილისის ყოფილმა მერმა დავით ნარმანიამ გადაჭრა. ინტერესთა გამოხატვა თბილისის მერიამ პარკინგის მოწყობაზე რამდენჯერმე გამოაცხადა, თუმცა ბიზნესი ამ საკითხით არც ერთხელ დაინტერესდა.

თბილისის მერიამ ინტერესის გამოხატვა თბილისში პარკინგის მოწყობაზე ოთხ ლოკაციაზე 2018 წლის 25 აპრილს გამოაცხადა. ინტერესის გამოხატვის ვადა 22 ივნისს ისე ამოიწურა, რომ ბიზნესის წარმომადგენლები არ დაინტერესებულან.

მრავალდონიანი ავტოსადგომების აშენება ამ დრომდე იგეგმება რკინიგზის სადგურის, მეტრო „მარჯანიშვილის, ფილარმონიის, პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიებზე, მეტრო „ისანთან“, „დინამოს სტადიონთან, ქალაქ თბილისის მერიასთან, გულუას მოედანთან, მეტრო „ვარკეთილთან“ და გეგეშიძის ბაღთან.

მაჭავარიანი: „საგამოძიებო სამსახურის მეშვეობით აქცენტი ეკონომიკური დანაშაულის პრევენციაზე გაკეთდება“

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მეშვეობით ძირითადი აქცენტი გაკეთდება ეკონომიკური დანაშაულის პრევენციასა და ამ პროცესში ევროპული მიდგომების დანერგვაზე, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა გუშინ საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრისას.

ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი დღეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და სამსახურის მიერ გამოძიებული საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულის სტატისტიკას გაეცნო და სხვადასხვა მიმართულების დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში მოისმინა.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რეფორმები, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს, მიზნად ისახავს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევას, ამავე დროს, ადმინისტრირების სისტემა მიმართულია კერძო სექტორში სამართლიანი თამაშის წესების დამკვიდრებისა და გადამხდელზე ორიენტირებული მომსახურების სისტემის გაძლიერებისკენ.

– აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ჩვენი მიდგომაა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მეშვეობით, დანაშაულის გამოძიებასთან ერთად, აქცენტი გაკეთდეს საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულის პრევენციასა და ამ პროცესში ევროპული მიდგომების დანერგვაზე. დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ არსებული მონაცემების სწორი ანალიზის საფუძველზე, შემუშავდეს და დაიგეგმოს პრევენციული მექანიზმები როგორც პროდუქციის ფალსიფიცირების, ისე კონტრაბანდის აღკვეთის მიმართულებით, – განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

როგორც მან აღნიშნა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ პარტნიორებთან ფინანსურ და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას და უწყების მიმართ ნდობის ამაღლებას.

გბც

„წესების დარღვევის გამო ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს სანქციები დაეკისრათ“

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს სანქციები დაეკისრათ. გთავაზობთ სებ-ის განცხადებას უცვლელად:

დედაქალაქის მასშტაბით მიმდინარე შემოწმებების ფარგლებში, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ მოთხოვნათა დარღვევების გამო, 36 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს რეგისტრაცია გაუუქმდა, ხოლო 68 პუნქტს ფულადი ჯარიმა დაეკისრა.

დარღვევები ძირითადად დაფიქსირდა ვიდეო მეთვალყურეობის სისტემების დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობასა და მომხმარებლისათვის ინფორმაციის არასათანადოდ მიწოდების გამო, მათ შორის, ტრანზაქციის გაუქმების შესაძლებლობის, საკომისიოს და საყურადღებო კურსის გამოყენების თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც, პერიოდულად განახორციელებს შემოწმებას და მიიღებს შესაბამის ზომებს მომხმარებელთა უფლებების დასაცავად და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მომხმარებლებს, რომ ვალუტის გადაცვლის ოპერაციის განხორციელებისას გამოიჩინონ განსაკუთრებული ყურადღება და ტრანზაქციის შესრულებამდე გადააამოწმონ გაცვლით კურსთან და მომსახურების საკომისიოსთან დაკავშირებული ინფორმაცია.

იმ შემთხვევაში, თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები დაირღვა, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ცხელ ხაზზე – 2 406 406 ან მოგვწეროთ.

კომერსანტი

თედო ისაკაძე: „ტაქსების ლიცენზირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას თბილისის საკრებულო 1 აგვისტომდე მიიღებს“

დედაქალაქის მერ კახა კალაძის მიერ თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის ხედვის წარდგენა განსაკუთრებული მასშტაბით გამოირჩეოდა. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე. ღონისძიებას ესწრებოდა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, პარლამენტისა და მთავრობის წევრები, თბილისის საკრებულოს წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

„კომერსანტი“ ამ თემაზე თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო ისაკაძეს ესაუბრა.

– რამ განაპირობა თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის ასეთ განსაკუთრებულ ფორმატში წარმოდგენა?

– ერთი მხრივ საკითხის აქტუალობა გახლავთ ამის მიზეზი, მეორე მხრივ კი ის გარემოება, რომ სატრანსპორტო პოლიტიკა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს და მხოლოდ ერთი ურბანული წარმონაქმნის, ამ შემთხვევაში თბილისის დონეზე პრობლემების მოგვარება შეუძლებელია. მაგალითად, თქვენ იცით, რომ ტაქსების რეგულაციის მიმართულებით პარლამენტს მოუწია კანონში ცვლილებების შეტანა და სატაქსო ბიზნესი ლიცენზირებას დაექვემდებარა. ასევე არა ქალაქის, არამედ ეროვნულ დონეზეა გადასაწყვეტი საწვავის ხარისხის სტანდარტის საკითხიც. ახალი ავტობუსების შემოყვანაც ქვეყნის ბიუჯეტის თანამონაწილეობით განხორციელდება.

– წინა ინტერვიუში თქვენ შეგვპირდით, რომ ტაქსების რეგულაციასთან დაკავშირებით მოგვაწვდიდით ინფორმაციას.

– ტაქსების ლიცენზირებასთან დაკავშირებითაც კახი კალაძემ დღეს ვრცელი კომენტარი გააკეთა. ლიცენზირება რამოდენიმე ეტაპად განხორციელდება, პირველ ეტაპზე მხოლოდ აღრიცხვა-რეგისტრაციის ვალდებულება შემოვა, ახალ სტანდარტებზე კი ნაბიჯ-ნაბიჯ გადავალთ. საკრებულოში ამ დღეებში შემოვა ტაქსების რეგულაციის შესახებ დადგენილების პროექტი, ჯერ კომისიის ფორმატში განვიხილავთ და 1 აგვისტომდე საკრებულოს სხდომაზე მივიღებთ საბოლოო ვარიანტს.

– რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ძველი ავტობუსების ახლით ასე მოკლე ვადებში ჩანაცვლება?

– როცა სატრანსპორტო პოლიტიკა არა მარტო დედაქალაქის, არამედ ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილება, სავსებით დასაშვებია ის ვადები, რომელიც პრეზენტაციაში იყო მითითებული. გარდა ამისა კვლევები აჩვენებს, რომ ქალაქში ჰაერის დაბინძურების დიდი წილი, 71% დაბინძურების მოძრავ წყაროებზე, ამ შემთხვევაში ტრანსპორტზე მოდის და ეს კიდევ უფრო მწვავედ სვამს ახალი ავტოპარკის საკითხს. თემა ჯანმრთელობას ეხება და აქ სიძუნწე ყოვლად დაუშვებელია.

კომერსანტი

ორკარიანი და მარჯვენასაჭიანი ავტომანქანებით ტაქსის მომსახურების სერვისი აიკრძალება

მარჯვენასაჭიანი და ორკარიანი (საბარგულის ჩათვლით 3-კარიანი) ტაქსის მომსახურების სერვისი აიკრძალება. ამის შესახებ მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ რადიო „პალიტრის“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა. მისივე თქმით, 2019 წლის 1-ლი ოქტომბრიდან ტაქსების რეგულირების მეორე ეტაპი დაიწყება და საჭისა და კარების გარდა, ყურადღება ტაქსის ფერსაც მიექცევა. კერძოდ, როგორც მუმლაძემ აღნიშნა, შემუშავდება ერთი ფერი და ქალაქში მხოლოდ ამ ფერის ტაქსები იმოძრავებენ.

მუმლაძის განცხადებით, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში უკვე გახდება ცნობილი, თუ რა ფერზე გაკეთდება აქცენტი.

რაც შეეხება მარჯვენასაჭიან და ორკარიან ავტომობილებს, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროს მამუკა მუმლაძის განცხადებით, ასეთი ავტომობილებით ტაქსაობა 2019 წლის 1-ლი ოქტომბრიდან აიკრძალება.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 1-ლი ოქტომბრიდან სავალდებულო გახდება ტაქსების რეგისტრაცია და სპეციალური 1-წლიანი ნებართვის აღება შიდაწვისძრავიანი მანქანებისთვის – 100 ლარი, „ჰიბრიდებისთვის“ 50 ლარი ეღირება, ელექტრომობილებისთვის უფასო იქნება. ნებართვის უქონლობის შემთხვევაში კი ტაქსის მძღოლი 200 ლარით დაჯარიმდება.

ამასთან, ტაქსის ნებართვის მფლობელი მუშაობისას ვალდებული იქნება, დოკუმენტი სალონში გამოაკრას და ტაქსზე შესაბამისი ნიშანი განათავსოს.

ბან

დეპუტატების სამივლინებო ხარჯებმა 1.720.052 ლარი შეადგინა

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს კვლევის მიხედვით, 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში პარლამენტარებმა მივლინებებში 1.720.052 ლარი დახარჯეს. საანგარიშო პერიოდში მივლინებით 117-მა დეპუტატმა ისარგებლა . კვლევა აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი თანხა 99.058 ლარი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე , სოფიო ქაცარავამ დახარჯა. ქაცარავა მივლინებაში 31 -ჯერ იმყოფებოდა. ყველაზე ნაკლები თანხა მივლინებაში ევროპული საქართველოს წევრმა აკაკი ბობოხიძემ გამოიყენა. 180 ლარად იგი ერთ მივლინებაში იმყოფებოდა.

კომერსანტი

პოლიციელს, რომელმაც ფოთში ნაზიმ გუზანოვი მოკლა, მოსამართლე ნატრული აკობიამ პატიმრობა შეუფარდა

ფოთში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დაკავებულ პოლიციელს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

დაკავებულის სასამართლო პროცესი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გუშინ, 25 ივლისს, გაიმართა. ბრალდებულის უფლებადამცველმა შუამდგომლობა პოლიციელის გირაოს სანაცვლოდ გამოშვების შესახებ დააყენა, თუმცა მოსამართლე ნატრული აკობიამ ის არ დააკმაყოფილა.

ბრალდების მხარის, სამეგრელო -ზემო სვანეთის პროკურორის, დავით პაპავას განმარტებით, საქმეში არსებული რამდენიმე მოწმე და ამოღებული ნივთმტკიცება იძლევა იმის საფუძველს, რომ მიემართათ სასამართლოსთვის აღნიშნული შუამდგომლობით.

– მოცემულ ეტაპზე არსებობდა ის დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებულს წარდგენოდა ბრალი 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულით. საქმეში არსებული მტკიცებულებებები იძლევა იმის საფუძველს, რომ ბრალდების მხარეს მიემართა სასამართლოსთვის, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული ყოფილიყო წინასწარი პატიმრობა. რაც შეეხება მტკიცებულებას, მათი გასაჯაროებისგან თავს შევიკავებ. შემიძლია გითხრათ, რომ საქმეში არსებობს მტკიცებულება იმის დასასაბუთებლად, რომ ბრალდებულის მიერ არის ჩადენილი დანაშაული. არაერთი მოწმის ჩვენება არის საქმეში, ამოღებულია სხვა ნივთმტკიცებაც, – განმარტა დავით პაპავამ.

ბრალდებულის ადვოკატი იოსებ ჯანაშია აღნიშნულ გადაწყვეტილებას უსამართლოს უწოდებს და ამბობს, რომ სასამართლო არ აღმოჩნდა გამბედავი.

– პროცესზე არ განუხილავთ არანაირი მტკიცებულება. მოხდა ისე, რომ სასამართლომ ერთგვარი გაუბედავი როლი ითამაშა. მაშინ, როდესაც აბსოლუტურად უარგუმენტო თემები

იქნა მოყვანილი. იყო ერთ-ერთი არგუმენტი, რომ ბრალდებული არის აფხაზეთიდან დევნილი და ის შეიძლება მიიმალოს, თუმცა სასამართლომ თავის განმარტებაში გაამახვილა ყურადღება მომეტებულ საზოგადოებრივ ინტერესზე. თემა გამართლდა იმით, რომ თუ არის პირი გარდაცვლილი და ის არის პოლიციელის ხელით გარდაცვლილი, არ გაჩნდეს ზედმეტი კითხვები საზოგადოების მხრიდან. პირი აბსოლუტურად უკანონოდ იქნა მოთავსებული წინასწარ პატიმრობაში, – აღნიშნა იოსებ ჯანაშიამ.

თავად ბრალდებული სხდომას არ ესწრებოდა. როგორც ადვოკატმა განმარტა, მას ტვინის შერყევა აქვს და მისი გადაადგილება არ არის რეკომენდებული.

ფოთში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დაკავებულ პოლიციელს ბრალი 116-ე მუხლით გუშინ გადაუკვალიფიცირდა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. თავდაპირველად გამოძიება 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით მიმდინარეობდა.

პროკურატურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 23 ივლისს, დაახლოებით ღამის 4 საათზე, ქალაქ ფოთში, დადიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნინო ჟვანიას ქუჩაზე, სასურსათო მაღაზიასთან მდებარე თანხის ჩასარიცხი აპარატის ქურდობის ფაქტზე, დაკავებისას ფოთის პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელმა ტაბელური პისტოლეტიდან გასროლით თავის არეში დაზიანება მიაყენა ერთ პირს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

აღნიშნულის გამო პროკურატურამ პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი დააკავა.

სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლებისთვის 12 პირი დააკავეს

დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე საგამოძიებო სამსახურმა 12 პირი პასუხისგებაში მისცა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადების და მათი გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, 12 პირი პასუხისგებაში მისცეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ 2016-2017 წლების განმავლობაში, ბრალდებულებმა, დაამზადეს უძრავი ქონების ადგილზე დათვალიერების ყალბი ოქმები და შემდგომ, მათი გამოყენებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები თაღლითურად მიისაკუთრეს.

ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, ბრალდებულები, მოტყუებით დაეუფლნენ მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში არსებულ, საერთო ჯამში, 11.600 მ2 მიწის ფართობს, რომლის საბაზრო ღირებულება 260.000 ლარს აღემატება.

გამოძიების პროცესში მოხდა თაღლითურად დაუფლებული მიწის ნაკვეთების დაყადაღება. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები მიწის ფართობის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების მიზნით.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილით და 180-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბათუმში სამმა არასრულწლოვანმა სილამაზის სალონი, ტანსაცმლის მაღაზია და სამკერვალო გაქურდა. წაღებულია 11.650 ლარი

ბათუმში ჩადენილი ქურდობისა და ქურდობის მცდელობის ფაქტებზე 3 არასრულწლოვანი პასუხისგებაში იქნა მიცემული.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, ქურდობის და ქურდობის მცდელობის ბრალდებით დანაშაულებრივი ჯგუფის 3 წევრი – 2000 წელს დაბადებული ღ.ც., 2002 წელს დაბადებული გ.ნ. და 2001 წელს დაბადებული ღ.წ. პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირებმა, მიმდინარე წლის 23 ივლისს, ბათუმში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე სილამაზის სალონი და ტანსაცმლის მაღაზიები გაქურდეს, ასევე, იქვე მდებარე სამკერვალოს გაქურდვა სცადეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ნაქურდალი თანხა ჯამში 11 650 ლარს შეადგენს, რომლის ნაწილი სამართალდამცველებმა ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი, დიდი ოდენობით ქურდობის და ქურდობის მცდელობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით და 19-177 მუხლით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ავარია გორთან — დაიღუპა 1 მამაკაცი

გორთან ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე ორი ავტომობილის შეჯახების შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის მეხუთე ნაწილით აღიძრა რაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

აშშ-ში საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს

მრავალმილიონიანი თაღლითური სქემა – აშშ-ში თაღლითობისთვის საქართველოს 5 მოქალაქე დაკავეს.

თაღლითური დაჯგუფება ინტერნეტაუქციონზე მანქანების გამყიდველებად ასაღებდნენ თავს და ფიქტიური კომპანიების საშუალებით დაზარალებულებისგან არარსებული ავტომობილების სანაცვლოდ თანხას იღებდნენ.

ნიუ იორკის შტატის პროკურატურის ინფორმაციით, სულ დაკავებულია დაჯგუფების 11 წევრი.

ავარია მარნეულთან — დაშავებულია 3 ადამიანი

გუშინ, 25 ივლისს, მარნეულთან სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები ერთმანეთს შეეჯახნენ.

შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

აფეთქება ქუთაისში

ავტოქარხნის ეზოში გაჩენილი ხანძრის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა

გუშინ, 25 ივლისს, ქუთაისში აფეთქება მოხდა.

ავტომშენებლის ქუჩაზე, ავტოქარხნის ეზოში, ღუმლის აფეთქების შედეგად ცეცხლი გავრცელდა.

აფეთქებამ თუჯჩამომსხმელ ქარხანაში შენობის კონსტრუქციის ნგრევა გამოიწვია. დაშავდა 5 ადამიანი. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ადგილზე მუშაობდა 4 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი. ხანძარი ლიკვიდირებულია.

ქალეიდოსკოპი

ქალმა დამახინჯებული ცხვირი წურბელებით გაისწორა

ამერიკელმა ქალბატონმა ცხვირზე პლასტიკური ოპერაციის შემდეგ წარმოქმნილი სერიოზული გართულებების მოშორების უწვეულო მეთოდზე ისაუბრა, კერძოდ, მან ამისთვის წურბელები გამოიყენა.

შერი მენჩონმა ამერიკის ფლორიდის შტატიდან რინოპლასტიკაზე 19,5 ათასი დოლარი დახარჯა. მან აღნიშნული ოპერაცია საკუთარ თავს დაბადების 40 წლისთავზე საჩუქრად მიუძღვნა. რამდენიმე დღის შემდეგ ცხვირის წვერმა მგრძნობელობა დაკარგა, გაქსივდა და მუქი იასამნისფერი გახდა.

ექიმებმა ეს იმით ახსნეს, რომ ქალს გართულება განუვითარდა, რომელიც „თუთიყუშის ნისკარტის“ სახელით არის ცნობილი. მათ მენჩონს კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთება ურჩიეს, მაგრამ მან გადაწყვიტა, დახმარებისთვის ლოს-ანჯელესში წამყვანი პლასტიკური ქირურგისთვის მიემართა.

მისი თქმით, შემდგომ ოპერაციას შესაძლოა მდგომარეობა კიდევ უფრო გაეუარესებინა და გირუდოთერაპია ურჩია. ქალი დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ საბოლოოდ სულ ერთადერთმა 149-დოლარიანმა პროცედურამ მას გართულებები თავიდან ააცილა.

თვითაალებადმა ჩიპსებმა აშშ-ში ქარხანაში ხანძარი ორჯერ გააჩინა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინის მეხანძრეებს ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ მოუხდათ ხანძრის ჩაქრობა ქარხანაში, რისი მიზეზიც თვითაალებადი სიმინდის ჩიპსები გახდა.

– ქარხანაში საწარმოო ნარჩენების უტილიზაციის ახალ საშუალებებს ცდიდნენ, მაგრამ რაღაც ისე არ წავიდა, – ნათქვამია ქალაქის სახანძრო დეპარტამენტის მიერ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში.

– სიმინდის ჩიპსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი ბიზნესისთვის და ჩვენ ამ ყოველივეს სერიოზულად ვუდგებით. ჩვენ მასთან ერთად მოვიხმართ ისეთ მნიშვნელოვან საკვებს, როგორიცაა ჩილი კონ კესო, სოუსი სალსა, ნაჩო და სხვა სასუსნავი, რომლებიც აუცილებელია ტეხასელებისთვის სრულფასოვანი და კომფორტული ცხოვრებისთვის. ასე რომ, თავად წარმოიდგინეთ ჩვენი მღელვარება, რომელიც სიმინდის ჩიპსების მწარმოებელ ქარხანაში მომხდარმა ხანძარმა გამოიწვია, და არა ერთხელ, არამედ ორჯერ, – აღნიშნულია განცხადებაში.

ხანძრებისგან მიყენებული ზარალი უმნიშვნელოდაა შეფასებული: დაიწვა მხოლოდ ყუთები ნარჩენებით და დაზიანდა შენობის ფასადი. მეხანძრეებმა დანარჩენი ყუთების წყალში ჩაძირვა გადაწყვიტეს, რათა თვითაალების ახალი შემთხვევები გამოერიცხათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პუტინის აშშ-ში ვიზიტზე ოფიციალური შეთანხმება არ არსებობს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჰიზერ ნოერტმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტის აშშ-ში ჩასვლასთან დაკავშირებით მეტისმეტად დიდი აჟიოტაჟი ატყდა.

– პუტინის აშშ-ში ვიზიტთან დაკავშირებით ოფიციალური შეთანხმება არ არსებობს, – ამბობს ნოერტი.

თავის მხრივ, პუტინის თანაშემწე უშაკოვი აცხადებს, რომ პუტინის ვაშინგტონში ჩასვლა ნაადრევია.

– აშშ-ში ამასთან დაკავშირებით უაღრესად ნეგატიური რეაქციაა! უნდა დავიცადოთ, სანამ ვნებათაღელვა ჩაცხრება, – თქვა უშაკოვმა.

კონგრესის სპიკერმა რაიანმა განაცხადა, რომ პუტინი შესაძლოა ვაშინგტონში მართლაც ჩავიდეს, მაგრამ კონგრესში ვერ შევა.

– აშშ-ის კონგრესში სიტყვით გამოსვლა ამერიკის მოკავშირეთა პრივილეგიაა. პუტინიც ჩვენს კონგრესში სიტყვით ვერ გამოვა, – თქვა რაიანმა.

კონგრესის სპიკერმა შენიშნა, რომ პუტინის აშშ-ში ჩამოსვლაში ტრაგედიას ვერ ხედავს.

– დიალოგი ყველასთანაა აუცილებელი, – ამბობს რაიანი.

ამასობაში ამერიკელი სენატორები გრემი (რესპუბლიკური პარტია) და მენენდესი (დემოკრატიული პარტია) აცხადებენ, რომ რუსეთის მიმართ სანქციები კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს.

– პუტინი გამოიკვეთა, როგორც აშშ-ის მოწინააღმდეგე! – თქვა გრემმა.

სენატორებმა უკვე მოამზადეს სათანადო კანონპროექტი, რომელსაც უახლოეს ხანებში კონგრესში წარადგენენ.

ოდესის პორტში ნატოს ხომალდები შევიდნენ

ოდესის პორტში ნატოს სამხედრო ხომალდები შევიდნენ. მიზეზი შავ და აზოვის ზღვებზე არსებული დაძაბულობაა.

ნატოს წარმომადგენელმა, გენერალმა ბუტსმა, ჟურნალისტებთან საუბარში შენიშნა, რომ რუსების საქციელით აღშფოთებულია.

– რუსეთის პოლიტიკა ომის საშიშროებას ქმნის, – ამბობს ბუტსი.

თავად უკრაინელებიც საბრძოლველად არიან განწყობილნი. პრეზიდენტმა პოროშენკომ განაცხადა, რომ შეიარაღებული ძალების წინაშე მოკლე და ნათელი ამოცანა დასვა: რუსული აგრესია აზოვის ზღვაზე უნდა აღიკვეთოს!

უკრაინის გენერალური შტაბის ყოფილმა ხელმძღვანელმა, გენერალმა რომანენკომ აღნიშნა, რომ ყირიმული სცენარის განმეორების იმედი რუსეთს ტყუილად აქვს.

– ღმერთმა დაიფაროს და თუკი საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდა, ეს პუტინს უდიდეს დისკომფორტს შეუქმნის, – ამბობს რომანენკო.

ტორონტოელ მსროლელს ფსიქიკასთან ჰქონია პრობლემები

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ტორონტოში უცნობმა ახალგაზრდამ სროლა ატეხა. შედეგად 12 გამვლელი დაშავდა, 2 გარდაიცვალა. პოლიცია იძულებული გახდა, საპასუხო ცეცხლი გაეხსნა. შედეგად მსროლელი გარდაიცვალა.

დადგენილია ტორონტოელი მსროლელის ვინაობა. მას ფეისალ ჰუსეინი ჰქვია. მისი მშობლები აცხადებენ, რომ ჰუსეინს ფსიქიკასთან პრობლემები ჰქონდა და ის ფსიქიატრებთან დიდხანს მკურნალობდა, მაგრამ უშედეგოდ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საბერძნეთის ხელისუფლება ხანძრისგან დაზარალებულების დასახმარებლად 20 მილიონ ევროს გამოყოფს

საბერძნეთის ხელისუფლება ხანძრისგან დაზარალებულების დასახმარებლად სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამიდან 20 მილიონ ევროს გამოყოფს.

გარდა ამისა, საბერძნეთის მთავრობამ რიგი ზომები მიიღო დაზარალებულების დასახმარებლად.

როგორც საბერძნეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დიმიტრის ტზანაკოპულოსმა განაცხადა, აღნიშნული ზომები შეეხება სტიქიის ადგილას მცხოვრები მოქალაქეების საგადასახადო ვალდებულებებს, ასევე გაიხსნება სპეციალური საბანკო ანგარიში, რომელზეც სახელმწიფო და ნებისმიერი მსურველი ხანძრის შედეგების ლიკვიდაციისთვის ფულს გადარიცხავს.

საბერძნეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაზარალებული ოჯახების დახმარების ძირითადი პაკეტი და საკომპენსაციო თანხა მოგვიანებით დასახელდება, როდესაც სტიქიის შედეგები სრულად იქნება შეფასებული.

საბერძნეთში ორშაბათს დაწყებული ტყის ხანძრის შედეგად 74 ადამიანი დაიღუპა. აღნიშნულთან დაკავშირებით ქვეყანაში სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული.

პაკისტანში აფეთქების შედეგად 31 ადამიანი დაიღუპა

პაკისტანში, ქალაქ კვეტაში, აფეთქების შედეგად 31 ადამიანი დაიღუპა, 35 კი დაშავდა.

აფეთქების შედეგად ასევე დაიღუპა 5 პოლიციელი. აფეთქება პოლიციის განყოფილების მახლობლად მოხდა.

ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა მოაწყო, რომლის სამიზნე ერთ-ერთი საარჩევნო უბანი იყო. საარჩევნო უბანზე მისვლამდე ის პოლიციელებმა გააჩერეს, რის შემდეგაც მან ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა.

აღსანიშნავია, რომ გუშინ პაკისტანში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს, მედლებს, ორდენებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

კახა ჩხეტიანი: „ტორპედო ვალდებულია, ვიკინგური დაამარცხოს“

დღეს ქუთაისის ტორპედო ევროპის ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერების ვიკინგურს შინ დაუხვდება. შეგახსენებთ, ტორპედომ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ტირასპოლის შერიფის ბარიერი ვერ გადალახა და უეფას რანგით მე-2 ტურნირზე გადაინაცვლა.

ვიკინგურიც ჩემპიონთა ლიგიდან გადაერთო ევროპალიგის გათამაშებაში. ფარერულმა გუნდმა ჰიკთან 2 მატჩის ჯამში 2:5 წააგო.

მოლდოველებთან მატჩის შემდეგ რიონისპირული გუნდი კიდევ 2 ფეხბურთელით გაძლიერდა – სლოვაკი მილოშ ლაჩნი და სურინამელი გლეოფილო ჰასელბანკი დაიმატა. ორივე თავდამსხმელია, სწორედ იმ პოზიციის, სადაც იმერულ გუნდს ყველაზე მეტად უჭირდა. რამდენად გამოადგება ეს ფეხბურთელები, ამას დრო გვიჩვენებს.

მანამდე კი მომავალ მატჩთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს ტორპედოს მთავარი მწვრთნელი კახა ჩხეტიანი:

– შერიფთან პირველი თამაში მოვიგეთ, ამიტომ კმაყოფილი დავრჩი, რადგან მათი დამარცხება იოლი არ არის. მეორე შეხვედრას დადებითად ვერ შევაფასებდი, რადგან წავაგეთ რა მომდევნო ეტაპზე ტირასპოლის გუნდი გავიდა. შერიფს ევროტურნირებზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვს, ჩვენი კლუბში კი ფეხბურთელები დაახლოებით ორი კვირით ადრე მოვიდნენ, კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ შეთამაშება გვაკლდა, ალბათ მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ეს გახლდათ.

გარკვეული პრობლემები ჯერ კიდევ გვაქვს, რადგან ის ფეხბურთელები, რომლებიც ჩამოვიყვანეთ, თითქოს მოსამზადებელ ეტაპებს გადიან, რადგან მათ თავიანთი ჩემპიონატები დიდი ხანია დაუმთავრდათ. ორი ფორვარდი დავიმატეთ. მილოშ ლაჩნი „ჟილინას“ ფეხბურთელი იყო, ვლადიმერ ვაისთან კონსულტაციები გავიარეთ და მასზე მხოლოდ კარგი გვითხრა, ასე რომ, გვჯერა, გამოგვადგება. რაც შეეხება სურინამელ გლეოფილო ვლიტერის, უდავოდ ნიჭიერი ბიჭია და თავი მოგვაწონა. სხვანაირად ჩვენთან ვერც მოხვდებოდა. მას სურინამის ნაკრებშიც აქვს ნათამაშები. ღმერთმა ქნას, მას ყველაფერი კარგად წაუვიდეს და გუნდი გააძლიეროს.

რაც შეეხება ევროპის ლიგაზე ჩვენს მომავალ მეტოქე ვიკინგურს, მათი წინა თამაში ვნახეთ და ეს კლუბი შევისწავლეთ. ვალდებული ვართ, რომ ეს ეტაპი დავძლიოთ.

ჩხეტიანმა მეტოქის თამაში ნახა და მისი ბარიერის გადალახვა ვალდებულად ჩათვალა. საფეხბურთო ნიუანსები ტორპედოს მწვრთნელმა უკეთ იცის, ჩვენ კი სხვა კუთხით დავინახოთ ვიკინგური.

ტორპედოს მეტოქე საინტერესო გუნდია, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ქვეყნის მიმდინარე ჩემპიონატში სადღეისოდ მესამე ადგილზეა, მაგრამ დაკარგული ქულებით კიდევ 2 გუნდს აქვს გადასწრების საშუალება. ვიკინგური ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. თუმცა, რამდენიმე ლეგიონერიც ჰყავს: უნგრელი მეკარე, ესპანელი და ნიგერიელი მცველები, სერბი ნახევარმცველი და ასევე ნიგერიელი თავდამსხმელი.

ვიკინგური ფარერების სოფლის, ნორსრაგოტას გუნდია, სადაც სულ 567 ადამიანი ცხოვრობს. სოფელში ძალიან ხშირად წვიმს და ზაფხულში საშუალო ტემპერატურა 10 გრადუსია.

სოფელში მოსახლეობაზე თითქმის 6-ჯერ დიდი სტადიონია (3.000 მაყურებელი), რომელსაც სარპუგერი ჰქვია. ამ არენაზე ატარებს საშინაო შეხვედრებს ვიკინგური ფარერების ჩემპიონატში. მაგრამ ევროასპარეზის მოთხოვნებს ეს სტადიონი ვერ აკმაყოფილებს და შესაბამისად, ვიკინგური ტორპედოს სხვა სტადიონზე უმასპინძლებს.

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ვიკინგურმა ფინურ ჰიკს პატარა ქალაქ ტოფტირში უმასპინძლა, სადაც 6.000 გულშემატკივარზე გათვლილი სტადიონია სახელად სვანგასკარო. საინტერესოა, რომ ქალაქში, სადაც 6.000-იანი სტადიონია, მოსახლეობა სულ რაღაც 793 ადამიანს შეადგენს.

პატარა გუნდი, პატარა ტრადიციებით... საქართველოს ჩემპიონმა ფარერული ბარიერი უნდა დაძლიოს და მომდევნო ეტაპზე გავიდეს.

ირაკლი ბუღრიძე: „ფავორიტი არც ბეითართან ვიყავით“

ქართული კლუბებისგან ევროტურნირების პირველი ეტაპი მხოლოდ საჩხერის ჩიხურამ გადალახა. სოსო ფრუიძის გუნდმა შინ უგოლო ფრე ითამაშა იერუსალიმის ბეითართან, ხოლო სტუმრად 2:1 მოიგო.

მომდევნო ეტაპზე ზემო იმერული გუნდის მეტოქე სლოვენიური მარიბორი იქნება. პირველი მატჩი დღეს მიხეილ მესხის სტადიონზე გაიმართება.

ჩიხურას ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბუღრიძეა. აღსანიშნავია, რომ ბუღრიძის აყვანა და სამსახური რამდენიმე გუნდმა არ ისურვა. ისეთმა გუნდებმაც კი, რომლებიც ევროტურნირებზე არ გამოდიან. ირაკლიმ კი თავისი სათამაშო კლასი ეროვნულ ჩემპიონატშიც დაადასტურა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელების ყურადღების ქვეშ მოექცა და ამხანაგურ მატჩებში გამოიძახეს კიდეც. სავარაუდოდ, მას ოფიციალურ შეხვედრებშიც უხმობენ. თუმცა, მანამდე საკლუბო საქმეები აქვს მოსაგვარებელი ჩიხურასთან ერთად და ჩვენც ამ თემებზე ვესაუბრეთ.

– ირაკლი, როგორ შეაფასებთ ბეითართან ჩატარებულ შეხვედრებს?

– ბეითარის სახით ევროპა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზევე ძალიან ძლიერი მეტოქე შეგვხვდა. ჩიხურას მიმართ ყველა სკეპტიკურად იყო განწყობილი და აშკარა აუტსაიდერებად მივიჩნეოდით... მაგრამ არც ერთ შეხვედრაში მეტოქეს არ ჩამოვუვარდებოდით და რამდენიმე ეპიზოდში ვჯობდით კიდეც.

– რის ხარჯზე მოახერხა ჩიხურამ ბეითარის ბარიერის დაძლევა?

– ჩიხურა ერთიანი, შეკრული გუნდია. თითოეულმა ფეხბურთელმა იცოდა მოედანზე თავისი როლი. ყველა ჩვენგანის მონდომებამ და ბოლომდე ბრძოლამ მოგვცა ეს წარმატებული შედეგი.

– საქართველოს ჩემპიონატში უკვე ნახევარი სეზონი მიილია. ისრაელის ჩემპიონატი კი ჯერაც არ დაწყებულა. იყო თუ არა ეს გარკვეული უპირატესობა ბეითართან შეხვედრაში და როგორ ფიქრობთ, ამან რამდენად იქონია მატჩის შედეგზე გავლენა?

– რა თქმა უნდა, ბეითარის წინააღმდეგ გვქონდა ეს უპირატესობა. აღნიშნული მატჩისთვის ბეითარი მხოლოდ ამხანაგური შეხვედრებით ემზადებოდა. ჩიხურასთვის კი ამხანაგურ შეხვედრებს ისეთი დატვირთვა არ აქვს, როგორც ოფიციალურ მატჩებს. ვფიქრობ, ებრაულმა კლუბმა ფორმაში შესვლა ვერ მოასწრო.

– მომავალი მეტოქე გაცილებით სერიოზულია – სლოვენიური მარიბორი. რას გვეტყვით ამ კლუბის შესახებ?

– მარიბორი გასულ წელს, ლივერპულთან ერთად, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშობდა. სლოვენიური კლუბი გაცილებით ძლიერი მეტოქეა, ვიდრე – ბეითარი. ძალიან რთული მატჩები გველის. ჩვენ აუტსაიდერებად მივიჩნევით, მაგრამ დღეს ნებისმიერ გუნდთან შეიძლება თამაში და ჩემი აზრით, ჩიხურას შესწევს ძალა, გულშემატკივარს მორიგი სენსაცია შესთავაზოს.

– პირველი შეხვედრა თბილისში ტარდება. ეს სლოვენიურ კლუბს ხომ არ აძლევს გარკვეულ უპირატესობას?

– პირველი შეხვედრის გასვლაზე თამაში რომ სჯობს, ყველამ კარგად იცის. ცხადია, მარიბორს გარკვეული უპირატესობა აქვს. ჩვენთვის მთავარია, საშინაო შეხვედრაში კარის მშრალად შენახვა მოვახერხოთ.

– გუნდში როგორი მდგომარეობაა. ხომ არიან ტრავმირებული მოთამაშეები?

– ტრავმა მოიშუშა ლევან კაკუბავამ, რომელიც ჩვენი გუნდისთვის ძალიან დიდი ძალაა. მოგეხსენებათ, კვლავაც ტრავმირებულია გუნდის კაპიტანი შოთა კაშია, რომელიც, ძალიან დიდი იმედი გვაქვს, მალე დაგვიბრუნდება.

– მარიბორის ბარიერის დაძლევის შემთხვევაში ხორვატიულ ოსიეკსა და შოტლანდიურ რეინჯერსს შორის გამარჯვებულს შეხვდებით. მათ შესახებ რას გვეტყვით, როგორი შანსები ექნება ამ გუნდებთან დაპირისპირების შემთხვევაში ჩიხურას?

– რა თქმა უნდა, ოსიეკთან თამაში გვირჩევნია, თუმცა, რეინჯერსი ამ წყვილში აშკარა ფავორიტია და, წესით, ადვილად უნდა მოახერხოს ამ ბარიერის დაძლევა. ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად მარიბორთან შეხვედრაზე ვართ გადართული და ჯერ ეს ეტაპია გადასალახი.

ბარსელონამ რომას ფეხბურთელი აეროპორტში წაართვა

ესპანურმა ბარსელონამ ლონდონის ჩელსიდან ბრაზილიელი ვილიანის გადაბირება რომ ვერ მოახერხა, სახელდახელოდ ბორდოს 21 წლის ფორვარდი მალკომი 41 მილიონ ევროდ შეიძინა. მალკომი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ახალ გუნდს ამერიკულ შეკრებაზე შეუერთდება.

თუმცა, ამ ტრანსფერმა უკვე გამოიწვია დიდი აყოიტაჟი.

საქმე ისაა, რომ ბარსელონაში ტრანსფერამდე ერთი დღით ადრე, იტალიურმა რომამ თავის გვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ბორდოდან 21 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი მალკომი დაიმატა და მარადიულ ქალაქში ელოდებოდნენ.

ამ ამბის გავრცელების შემდეგ რომის აეროპორტთან უამრავი ადამიანი შეიკრიბა, მაგრამ მათ იმედები გაუცრუვდათ – მალკომი რომის ნაცვლად ბარსელონაში გაემგზავრა.

რა მოხდა სინამდვილეში, ამის შესახებ დეტალურად რომას სპორტული დირექტორი რამონ მონჩი საუბრობს:

– რაც მოხდა მალკომთან დაკავშირებით, ადვილად ასახსნელია, მაგრამ რთულად გასაგებია. ფეხბურთელს, მის აგენტს და ბორდოს შევუთანხმდით. როცა სიტუაცია შეიცვალა, ამის შესახებ პრეზიდენტს ვუთხარი და მან დამავალა, ახალი შეთავაზება გამეკეთებინა, რომელიც ბარსელონაზე უკეთესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როცა მოლაპარაკებებმა აუქციონის სახე მიიღო, გარიგებიდან გავედით. ახლა კლუბში ყველა ვარიანტს განვიხილავთ და ვიკვლევთ, შეგვიძლია თუ არა სასამართლოში წასვლა. მართალია, ხელი არაფერზე იყო მოწერილი, თუმცა გვაქვს გზავნილები აგენტებისა და ბორდოს პრეზიდენტისგან. ფანებს უკვე ვუთხარი, დაუღალავად ვმუშაობთ, რომ ახალი ფეხბურთელი, მალკომის მსგავსი ან უკეთესი ვიპოვოთ.

ჩვენი მხრივ გეტყვით, რომ რომა და ბორდო მალკომის ტრანსფერზე შეთანხმებული იყვნენ და რომას 36 მილიონი ევრო უნდა გადაეხადა, მაგრამ საქმეში მოულოდნელად ბარსელონა ჩაერია, რომელმაც 41 მილიონი შესთავაზა ჟირონდელებს და ფეხბურთელი უმალ გადაიბირა.

მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები

დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში, მაგრამ ჯერ კიდევ იყო მცირე დეტალები დასაზუსტებელი. კერძოდ, ფიფამ საკუთარ ვებგვერდზე, გულშემატკივართა ვერსიით, მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები გამოაქვეყნა.

გამოკითხვა თითოეულ პოზიციაზე მიმდინარეობდა და პროცენტული წილი სწორედ ამის მიხედვით არის შედგენილი.

აღსანიშნავია, რომ სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი ხმა საკუთარ პოზიციაზე ლუკა მოდრიჩმა (49% ნახევარმცველებს შორის) მიიღო.

სიმბოლური ნაკრების სრული სია ასეთია:

მეკარე: ტიბო კურტუა (ბელგია, 19%);

მცველები: დიეგო გოდინი (ურუგვაი, 25.8%), მარსელო (ბრაზილია, 18%), ტიაგო სილვა (ბრაზილია, 29.3%), რაფაელ ვარანი (საფრანგეთი, 31.5%);

ნახევარმცველები: ფილიპე კოუტინიო (ბრაზილია, 45.6%), კევინ დე ბრუინე (ბელგია, 30.6%), ლუკა მოდრიჩი (ხორვატია, 49%);

თავდამსხმელები: ჰარი კეინი (ინგლისი, 36.3%), კილიან მბაპე (საფრანგეთი, 41.1%), კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია, 25.2%).

როგორც ხედავთ, სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდნენ ბარსელონის არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი და პსჟ-ს ბრაზილიელი შემტევი ნეიმარი.

მოფარიკაველთა ისტორიული შედეგი

ჩინეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ხმლით მოასპარეზე გუნდურ შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა და სულ ცოტა დააკლდა ისტორიულ მედლამდე.

საქართველოს ნაკრები პირველ წრეში მსოფლიო რეიტინგში 28-ე ადგილზე მყოფ ტაილანდის ეროვნულ გუნდს გაეჯიბრა და გამარჯვება არ გასჭირვებია – 45:20. ამის შემდეგ. ქართველ მოფარიკაველებს გაცილებით სერიოზული მეტოქეები ჰყავდათ.

მერვედფინალში ქართველთა პირისპირ კლასიფიკაციის მე-5 ნომერი, აშშ-ს ნაკრები დადგა. ამერიკელებს შემადგენლობაში ინდივიდუალური რეიტინგის პირველი ნომერი გამართული ტურნირის ვერცხლის მედალოსანი ელი დერშვიტცი ჰყავდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა 45:38 იმარჯვა და მსოფლიოს 8 საუკეთესო ნაკრებს შორის მოხვდნენ. ეს უკვე წარმატება იყო, მაგრამ ჩვენები ამით არ დაკმაყოფილდნენ.

მეოთხედფინალში ჩვენი გუნდის მეტოქე 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მე-5 ადგილის მფლობელი, მიმდინარე რეიტინგში კი მე-4 პოზიციაზე მყოფი ირანის ნაკრები იყო. ჩვენებმა აზიელები 45:37 დაამარცხეს და ტურნირის ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს. დარჩენილი 2 ორთაბრძოლიდან ერთის მოგებაც საკმარისი იყო, რათა საქართველოს ნაკრებს მსოფლიო პირველობაზე პირველი მედალი მოეპოვებინა, მაგრამ...

ნახევარფინალში საქართველოს ნაკრების მეტოქე პლანეტის უძლიერესი ნაკრები, სამხრეთ კორეა იყო და გამარჯვება მეტოქეს დარჩა – 34:45.

ქართველი მოფარიკაველები ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაზე გადაერთვნენ, მათი მოწინააღმდეგე კი მსოფლიოს მე-3 გუნდი უნგრეთი გახლდათ. ამ შერკინებაში გამოცდილი წევრებით დაკომპლექტებული მეტოქე აშკარა ფავორიტი გახლდათ და ჩვენს ნაკრებს 45:36 სძლია.

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ასეთი შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული: სანდრო ბაზაძე, ბექა ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, ვაჟა რეჭია.

გუნდურ რეიტინგში, რომელიც ხვალ გამოქვეყნდება, საქართველო რამდენიმე ადგილით დაწინაურდება. ეროვნული ფედერაციისა და გუნდის მიზანი უცვლელია – ტოკიო 2020-ის გუნდური ლიცენზია!

შედეგები

24 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ასტანა-მიდტიულანდი	2:1
კლუჟი-მალმიო	0:1
პაოკი-ბაზელი	2:1
დინამო(ზ)-ბეერ შევა	5:0
შკენდია-შერიფი	1:0
ცრვენა ზვეზდა-სუდუვა	3:0
ლეგია-ტრნავა	0:2

მოამზადა მიხეილ უორჟოლიანმა

ფიფამ წლის საუკეთესო ნომინანტების სია შეამცირა

ფიფამ წლის საუკეთესო ფეხბურთელობის ნომინანტთა სია 10-მდე შეამცირა. ფეხბურთელები შეფასებულები არიან 2017 წლის ივლისიდან 2018 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში. საუკეთესოს გამოსავლენად თანაბარი ძალა აქვს გულშემატკივრების, ჟურნალისტებისა და ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებისა და კაპიტნების ხმებს.

ფიფას წლის ფეხბურთელობის ორგზის გამარჯვებული კრიშტიანუ რონალდუ, რომელიც უკვე ტურინის იუვენტუსის ფეხბურთელია, მაგრამ წარდგენილია, როგორც რეალის ფეხბურთელი, რადგან იმ პერიოდში ესპანურ კლუბში თამაშობდა, ჰეთ თრიკისთვის ემზადება, თუმცა მას სერიოზული კონკურენტები ჰყავს – ათეულში მსოფლიოს 3 ჩემპიონია საფრანგეთის ნაკრებიდან.

ფიფას წლის ფეხბურთელობის 10 ნომინანტი:

კრიშტიანუ რონალდუ (რეალი, პორტუგალია); კევინ დე ბრუინი (მანჩესტერ სიტი, ბელგია); ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო, საფრანგეთი); ედენ აზარი (ჩელსი, ბელგია); ჰარი კეინი (ტოტენჰემი, ინგლისი); კილიან მბაპე (პსჟ, საფრანგეთი); ლიონელ მესი (ბარსელონა, არგენტინა); ლუკა მოდრიჩი (რეალი, ხორვატია); მოჰამედ სალაჰი (ლივერპული, ეგვიპტე); რაფაელ ვარანი (რეალი, საფრანგეთი).

შეგახსენებთ, რომ შარშან წლის საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ გახდა, მან ხმების 52.19% მიიღო. მეორე ადგილზე ლიონელ მესი გავიდა 43.16%-ით, მესამეზე კი ნეიმარი – 6.97%. ბრაზილიელი ახლანდელ სიაში საერთოდ ვერ მოხვდა.

ფიფამ 2018 წლის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელობის 11 კანდიდატიც დაასახელა. ყველაზე დიდი სენსაცია ამ სიაში რუსეთის ნაკრების თავკაცის, სტანისლავ ჩერჩესოვის მოხვედრაა, რომელმაც გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაიყვანა.

ფიფას წლის მწვრთნელობის ნომინანტები:

მასიმილიანო ალეგრი (იუვენტუსი); სტანისლავ ჩერჩესოვი (რუსეთი); ზლატკო დალიჩი (ხორვატია); დიდიე დეშამი (საფრანგეთი); პეპ გვარდიოლა (მანჩესტერ სიტი); იურგენ კლოპი (ლივერპული); რობერტო მარტინესი (ბელგია); დიეგო სიმეონე (ატლეტიკო); გარეთ საუთგეიტი (ინგლისი); ერნესტო ვალვერდე (ბარსელონა); ზინედინ ზიდანი (რეალი);

შეგახსენებთ, რომ შარშან ფიფას წლის მწვრთნელი ზინედინ ზიდანი გახდა, რომელმაც რეალი ზედიზედ მეორედ გახადა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. წლეულს ფრანგმა რეალი ზედიზედ მესამედ გახადა ლიგის გამარჯვებული, მაგრამ დიდიე დეშამის სახით მას ძლიერი კონკურენტი ჰყავს. შეგახსენებთ, რომ ახლახან დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე დეშამმა საფრანგეთის ნაკრებს ისტორიაში მეორედ მოაგებინა ტიტული.

ბოატენგი და ვიდალი ბაიერნიდან მიდიან

დიდი ალბათობით, მიუნხენის ბაიერნის ცენტრალური მცველი, ჟერომ ბოატენგი, მალე პარი სენ ჟერმენის ფეხბურთელი გახდება.

კლუბებს შორის მოლაპარაკებები უკვე რამდენიმე კვირაა, მიმდინარეობს და ბოლო ინფორმაციით, მხარეები შეთანხმებასთან ახლოს არიან.

ბოატენგის ტრანსფერი უახლოეს დღეებში უნდა განხორციელდეს და გერმანული გრანდი ჟერომის სანაცვლოდ 70 მილიონ ევროს მიიღებს.

პარიზულ კლუბში 29 წლის გერმანელის ხილვა ფრანგების ახალ თავკაცს, თომას ტუხელს, სურს და მისი პირველი შენაძენი სწორედ ბოატენგი იქნება.

ჟერომ ბოატენგის წასვლის შემთხვევაში „რეკორდმაისტერი“ ახალი ცენტრალური მცველის დამატებას ეცდება.

მიუნხენელთა საყრდენი ნახევარმცველი არტურო ვიდალი კი, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედში გადაბარგდეს.

31 წლის ჩილელი ფეხბურთელის აგენტი ფერნანდო ფელიპევიჩია, რომელიც ალექსის სანჩესის წარმომადგენელიც არის და ალექსისის ტრანსფერი მანჩესტერში სწორედ მან გაჩარხა. ახლა ფელიპევიჩი „წითელი ეშმაკების“ მესვეურებს ვიდალის თაობაზე ელაპარაკება.

ვიდალის კონტრაქტი 2019 წელს ინურება, ამიტომ „რეკორდმაისტერი“ მისი გაშვების ვარიანტს განიხილავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მულტიმილიონერმა იშვიათი ჰიბრიდული ვეშაპი მოკლა და ამაზე გაჩერებას არ აპირებს

ისლანდიის სანაპიროსთან დაიჭირეს და მოკლეს იშვიათი 20-მეტრიანი ლურჯი ვეშაპისა და ფინვალის ჰიბრიდი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ვეშაპმჭერი კომპანიის მფლობელმა, რომელიც იშვიათი ჰიბრიდის მოკვლაზეა პასუხისმგებელი, მულტიმილიონერმა კრისტიან ლოფტსონმა განაცხადა, რომ მზად არის, ზღვის ძუძუმწოვრების განადგურება გააგრძელოს.

თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ლოფტსონის კომპანიის მსხვერპლი ლურჯი ვეშაპი გახდა, რომლის მოკვლაც კანონით აკრძალულია, მაგრამ დნმ-ს ანალიზმა აჩვენა, რომ ეს ასე არ იყო. კანონი ასეთი არსებების მოკვლას არ კრძალავს, თუმცა მათი ხორცის ლეგალურად გაყიდვა შეუძლებელია.

ეს უკვე ერთ თვეში მისი კომპანიის მიერ მოკლული 22-ე ვეშაპია. ლოფტსონი აცხადებს, რომ ამ ზაფხულს როგორც მინიმუმ კიდევ 150 ზღვის ძუძუმწოვარს გაანადგურებს. ასეთ რაოდენობას კი ის იმით ხსნის, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო არ უნადირია.

ვეშაპების ხორცით საერთაშორისო ვაჭრობა აკრძალულია, თუმცა ბოლო ათწლეულში ლოფტსონმა იაპონიაში 8,8 ტონა პროდუქცია გადააგზავნა.

ვეშაპების კომერციული რეწვა მხოლოდ ნორვეგიაში, ისლანდიასა და იაპონიაშია დაშვებული.

პოლონელმა ველოსიპედით ორი კვირა იარა, რათა ზღვა უკანასკნელად ენახა

პოლონეთის მკვიდრმა მარჩინ ზარნეცკიმ შეიტყო, რომ მალე მხედველობას საერთოდ დაკარგავდა და 700 კილომეტრი ველოსიპედით გაიარა, რათა ზღვა პირველად და უკანასკნელად ეხილა საკუთარი თვალით.

მამაკაცს რეტინოპათია აქვს – თვალის ბადის გარსის დაზიანება. ექიმებმა ის გააფრთხილეს, რომ ის მალე სრულად დაბრმავდებოდა. ამ დროისთვის პოლონელი მხოლოდ ცალი თვალით ხედავს და ისიც სანახევროდ.

როდესაც დიაგნოზის შესახებ შეიტყო, 38 წლის ზარნეცკიმ გადაწყვიტა, თავისი დიდი ხნის ოცნება აესრულებინა, პირველად ეხილა ადრიატიკის ზღვა და იქ მცხოვრები ნათესავები მოენახულებინა.

მას თვითმფრინავით, მატარებლით ან ავტობუსით მგზავრობის ფული არ ჰქონდა, ამიტომ ის მშობლიურ ქალაქ ნოვი-ტარგში ველოსიპედზე დაჯდა და ხორვატიის სანაპიროსკენ გაემგზავრა. მან ორ კვირაში მოახერხა დანიშნულების ადგილამდე ჩასვლა. გზაში ხალხი, როდესაც მისი მგზავრობის მიზანს იგებდა, ხშირად სთავაზობდა, მათთან დაესვენა.

ზარნეცკის ისტორიით შეძრულმა ხორვატებმა გადაწყვიტეს, რომ თავად მოუგვარონ სახლში დაბრუნების პრობლემა. მათ ასევე ფული შეუგროვეს „პლიტვიცკის ტბების“ ეროვნული პარკის ბილეთისთვის, ვინაიდან მას იქ შესასვლელი 250 ხორვატული კუნი არ აღმოაჩნდა.

ამ ყველაფრის წყალობით ზარნეცკიმ სამსახურიც კი იშოვა. ის ბავშვობიდან სწავლობდა გაიდეზე დაკვრას, ბალკანური საკრავი, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა მუსიკალურ კოლექტივში მოწყობას. მას ივლისის ბოლოსთვის ვარშავაში კონცერტს მოუწყობენ.

მუსიკოსმა თაყვანისმცემელს ლუდი შეასხა და სასიკვდილო ავადმყოფობისგან იხსნა

ამერიკული მეტალ-ჯგუფის Every Time I Die-ს გიტარისტმა ჯორდან ბაკლიმ გაიხსენა, რომ თავის ფანს კონცერტის დროს ლუდი შეასხა. ამის შემდეგ თვალებში ტკივილის შეგრძნების გამო მან ექიმს მიმართა, რაც მას დაეხმარა, თავის დროზე აღმოეჩინათ მისთვის ტვინის სიმსივნე. ამის თაობაზე მუსიკოსმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე დაწერა.

– ბიჭებო, გინდათ, გასაგიჟებელი ისტორია მოგიყვეთ? – დაწერა ბაკლიმ. მისი თქმით, მასთან ერთ-ერთი თაყვანისმცემელი გოგონა ახლოს მივიდა და განუცხადა, რომ მათ კონცერტზე წინა რიგში იმყოფებოდა და თვალებში შეესხა ლუდი, რომელიც გიტარისტმა მაყურებლებისკენ გადააფურთხა.

მას მეორე დღეს თვალები ასტკივდა, იფიქრა, რომ ინფექცია შეეჭრა და ექიმს მიმართა. გოგონამ ანალიზები გაიკეთა, გამოკვლევა გაიარა და ამის შედეგად ექიმებმა მას თავის ტვინის სიმსივნე დაუდგინეს. საბედნიეროდ, ის ადრეულ სტადიაში იყო და დაუყოვნებლივ ამოჰკვეთეს.

ამ ისტორიის მოყოლის დროს მუსიკოსი გამუდმებით იხდიდა ბოდიშს და უკვე სასამართლოს სარჩელისთვისაც ემზადებოდა, მაგრამ, როგორც კი შეიტყო, რომ მისმა გამოხდომამ გოგონასთვის თავის ტვინის სიმსივნის ადრეულ სტადიაზე გამოვლენას შეუწყო ხელი, შოკში ჩავარდა.

თაყვანისმცემელმა გიტარისტს გაუმხილა, რომ მან სიცოცხლე შეუნარჩუნა და ამისთვის მადლობა გადაუხადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 ივლისისთვის

ვერძი – დღეს სამსახური თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს, თუმცა გაითვალისწინეთ, წარმატება შესაძლოა მხოლოდ ილუზია იყოს. **კურო** – ნებისმიერ საქმეს გაუმკლავდებით, თუ სათანადო შეუპოვრობასა და შრომისმოყვარეობას გამოიჩენთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – დღე აღსავსეა ახალი იმედებით, შეხვედრებით, მოულოდნელი სასიამოვნო ნაცნობობით. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – საეჭვო ადამიანებთან კონტაქტი ცუდ შედეგს გამოიღებს. ხელგაშლილობა და არაეკონომიურობა თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. **ლომი** – ვარსკვლავები მშვიდ და ჰარმონიულ ოჯახურ ურთიერთობას გპირდებიან. ქალებს, სავარაუდოდ, ახალი თაყვანისმცემელი გამოგიჩნდებათ. **ქალწული** – შინაგანად აფორიაქებული ხართ. საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებით. უახლოეს მეგობარს გული გადაუშალეთ და უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლდით. **სასწორი** – ერიდეთ მატყუარებს. ქრონიკული ავადმყოფობები მწვავდება. სამსახურშიც პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა. **ღრიანკალი** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება. **მშვილდოსანი** – იყავით ფრთხილი და თავშეკავებული. ემოციები მოთოკეთ და ნებისმიერი შემოთავაზებული წინადადება გულმოდგინედ აწონ-დაწონეთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. უფროსობასთან კონფლიქტი გელით. შესაძლოა, სამსახურსაც კი დაემშვიდობოთ. აუცილებელია, მოვლენები რეალურად შეაფასოთ. **მერწყული** – დღის დევიზია ეკონომია და წინდახედულობა. ფულის ფლანგვა არასასურველ შედეგებამდე მიგიყვანთ. **თევზები** – პასიური დღეა. ნუ დაგეგმავთ შეხვედრას მეგობრებთან. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევას.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქართული კონიაკი; 2. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 3. მაღალხარისხოვანი ქვანახშირი; 4. მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი; 5. ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება; 10. იაპონური ავტომობილი; 11. გამოჩენილ ადამიანთა სასაფლაო; 12. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 13. მხარე გერმანიაში; 16. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო სისტემა; 17. ბიბლიური პატრიარქი, რომელმაც ყველაზე დიდხანს იცოცხლა; 19. ორსართულიანი ბრიტანული ავტობუსი; 21. პორტატიული მფრინავი აპარატი; 23. მანძილის საზომი ინგლისური ერთეული.

თარაზულად: 6. ძვირფასი ქვების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი ბელგიაში; 7. სამხედრო-ადმინისტრაციული, ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 8. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 9. ფრანგული სამგზავრო თვითმფრინავების სერია; 14. უზბეკეთის დედაქალაქი; 15. ჰოლანდიური ლუდი; 18. მეცხოველეობის ფერმა აშშ-ში; 20. საზეიმო წვეულება; 22. უნგრელ პარტიზანთა სახელწოდება; 24. საზღვაო მოგზაურობა; 25. ჩინური ფაიფური; 26. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხალი; 2. კლიპი; 3. იუანი; 4. რუმბა; 5. ლეკები; 6. გაგარინი; 8. უსახელაური; 10. ქსენოფილია; 11. ნორმანები; 14. პოკერი; 15. ჟაკარი; 16. პენსი.

თარაზულად: 1. ხინკალი; 4. როლგანგი; 7. ლაციო; 9. ციცქა; 12. ფირუზი; 13. კასიო; 14. პრინცი; 17. კავანი; 18. ტოლერანტობა; 19. სინდისი; 20. „ტიფანი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰერმესი; 2. ენდშპილი; 3. ვირსალაძე; 4. ბოზბაში; 5. მიზანთროპი; 10. მწნილი; 11. კომფორტი; 12. სამხარი; 13. პალერმო; 16. მადრიგალი; 17. კაპელანი; 19. ავტობანი; 21. „ჰონდა“; 23. ნესვი.

თარაზულად: 6. მელანქოლია; 7. როკფორი; 8. სელაპი; 9. ნატამალი; 14. „ლაშარელა“; 15. ზამენგოფი; 18. ტატრა; 20. თალმუდი; 22. ჰონვედი; 24. მონაკო; 25. ტაბლოიდი; 26. კავანი.

ქუთაისში მდებარე გიგა ლორთქიფანიძის სახლი დავის საგანი გახდა

რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის სახლი, რომელიც ქუთაისში, სარაჯიშვილის ქუჩის 49 ნომერში მდებარეობს, დავის საგანი გახდა.

ცნობილი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის ანგია ბოჭორიშვილის შვილიშვილი მერაბ ბოჭორიშვილი რეჟისორის ოჯახს ედავება.

ინფორმაცია გიგა ლორთქიფანიძის მეუღლემ, მსახიობმა ქეთევან კიკნაძემ გაავრცელა:

– ქუთაისი, სარაჯიშვილის 49. ეს არის სამუზეუმო ქუჩა, სახლი კი ისტორიული – ანა და ალექსანდრე მიქელაძეების. ეს არის გიგას დედისეული სახლი, სადაც იზრდებოდნენ დიდებული ქართველი ადამიანები, როგორებიც არიან გიგა და მარიკა ლორთქიფანიძეები, ევგენი (ჟენია) მიქალაძე – პირველი დირიჟორი, რომელმაც პირველმა შექმნა ქართული ორკესტრი, მიხეილ მიქელაძე – მომღერალი, თამარ მიქელაძე – ცნობილი გინეკოლოგი, ჟორჟიკა მიქელაძე, რომელიც კოლჩაკმა დახვრიტა ტომსკში, არსებობს მისი სახელობის ქუჩა ტომსკში, ხოლო მუზეუმში არის მისი კუთხე, დახვრეტის დროს გადაარჩინა ახალგაზრდა პედაგოგი ქალი.

სახლი დაყოფილია მის მემკვიდრეებზე, გიგას სახლის ნაწილში იყო უკანონოდ მცხოვრები აწ გარდაცვლილი ანგია ბოჭორიშვილი. არსებობს მერიის ამონაწერი, რომელსაც ბინა მიღებული აქვს ხუნდაძის ქუჩის 51-ში. ამჟამად გვედავება ბინას მისი შვილიშვილი, მერაბ ბოჭორიშვილი, როგორც ჩანს, მემკვიდრეობით გადაეცა, რომელსაც იქ არასოდეს უცხოვრია.

ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბინა გადმოფორმებულია ჩემზე. იქ შუქი არ არის, მარტო წყლის გადასახადები მოსულია და ეს დოკუმენტია. მე მაქვს ეს ქვითრები.

„დიდოუ ნანას“ ავტორი, კომპოზიტორი ნანა ბელქანია, მძიმე მდგომარეობაშია

ცნობილი მეგრული სიმღერის „დიდოუ ნანას“ ავტორი, კომპოზიტორი ნანა ბელქანია, ყველასგან მივიწყებულია და ზოგჯერ პურის ყიდვაც კი არ შეუძლია.

ინფორმაცია კომპოზიტორის შესახებ პეტრე კოლხმა გაავრცელა:

– ეს ქალბატონი ნანა ბელქანიაა... ადამიანი, რომელმაც მეგრული სიმღერებით მიმდინარეობა შექმნა.

მის ტექსტებს, საავტორო მელოდიებს, ჩვენი ქვეყნის გარდა, ყველგან მღერიან. მეტიც, თურქულ ფილმებში ნანას სიმღერებით სარგებლობენ... თურქი მომღერალი ქაზიმ ქოიუნჯუ ნანას მელოდიით გაასვენეს. სტამბოლის ცენტრალურ ქუჩაზე „დიდოუ ნანა“ ჟღერდა...

ის დღეს არავის ახსოვს. მივიწყებულია. თავის თავზე ნაკლებად საუბრობს.

ვფიქრობ, მან დაიმსახურა, მის გასაჭირზე ჩვენ ვისაუბროთ და დაკარგული რწმენაც დავუბრუნოთ.

მისი საავტორო უფლებები დაირღვა. მისი შემოქმედებით უცხოეთში მდიდრდებიან, ნანას კი ზოგჯერ პურის ყიდვა არ შეუძლია.

ეს ჩვენი სირცხვილია, ეს ჩვენი ტრაგედიაა...

უფლებათა დამცველი, პრესა, ტელევიზია, ერი, განსაკუთრებით ნანას ოდაბადე – წალენჯიხა დაინტერესდეს მისი მდგომარეობით...

ნანა დღეს მის სევდიან სიმღერებს დაემსგავსა...

ყველაზე ცუდი უიმედობაა. არ მინდა, მას იმედი საბოლოოდ გაუცრუვდეს და ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნიოს...

ერთმანეთს შევეხიდოთ... არ აქვს მნიშვნელობა, რითი... მთავარია, მოვინდომოთ... იტირა, ბევრი იტირა!

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხმის ოპერატორი არჩილ არგანაშვილი მძიმე სენით დაავადდა

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელობა და თითოეული თანამშრომელი ავრცელებს ინფორმაციას თეატრის ხმის ოპერატორ არჩილ არგანაშვილის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით:

– დავეხმაროთ ჩვენი თეატრის ხმის ოპერატორ არჩილ არგანაშვილს. არჩილ არგანაშვილი მძიმე სენით დაავადდა და იბრძვის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

გთხოვთ, გამოვიჩინოთ გულისხმიერება, გადარიცხეთ მიზერული თანხაც კი და გააზიარეთ ინფორმაცია, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს ამ მნიშვნელოვან და კეთილ საქმეში. თქვენ მიერ გადარიცხული თითოეული ლარი მნიშვნელოვნად დაეხმარება ოჯახს.

არჩილ არგანაშვილის დასახმარებლად საქართველოს ბანკში სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

თბილისში სახვითი ხელოვნების მუზეუმი გაიხსნება

სულ მალე თბილისში სახვითი ხელოვნების მუზეუმი გაიხსნება, რომელიც რუსთაველის გამზირზე, კინოთეატრ „რუსთაველის“ გვერდით, მხატვართა სახლის ადგილას მდებარეობს.

გიორგი კუხალაშვილი, მხატვარი:

– სულ მალე თბილისში გაიხსნება სახვითი ხელოვნების მუზეუმი, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა თაობის ქართველ მხატვართა შემოქმედებას. ყველა ის მხატვარი, რომლებმაც შექმნეს თანამედროვე ქართული მხატვრობა, ერთ სივრცეში გამოიფინება. თაობები არა მხოლოდ მოისმენენ მათ სახელებს, მათ საშუალება ექნებათ, რეალურ სივრცეში აღიქვან ის სიმდიდრე, რომელსაც ქართული მხატვრობა ჰქვია. მუზეუმის კონცეფციას აცოცხლებს შენობაში განთავსებული სასტუმრო და არტჰაუსი. მიხარია, რომ ამ ადგილს ისევ დაუბრუნდება ძველი ატმოსფერო განახლებული ენერგიით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბელგიის ხელისუფლებამ ნუდისტებს ფრინველები ამჯობინა

ბელგიაში ნუდისტებისთვის მეორე პლაჟის გახსნა ტროლლების იშვიათი სახეობისთვის შესაძლო ზიანის მიყენების გამო აიკრძალა.

ველური ბუნების ფლამანდიურმა სააგენტომ პლაჟის ვესტენდში შექმნის ინიციატივა იმის გამო დაბლოკა, რომ დიუნებში ადამიანების სექსუალურმა აქტივობამ შესაძლოა ფრინველები დააფრთხოს. სააგენტომ ადგილობრივ ხელისუფლებას აცნობა, რომ ასევე შესაძლოა თავად დიუნებსაც მისდგომოდათ ზიანი დამსვენებელთა აქტიურობის შედეგად.

ნატურიზმის ბელგიის ფედერაციის თავმჯდომარე კოენ მეულემანსმა აღნიშნა, რომ ორი წლის განმავლობაში ორგანიზაციის წევრების რაოდენობა 8,2 ათას ადამიანამდე გაიზარდა და ამიტომ მათ ახალი პლაჟი სჭირდებათ, ხოლო ვესტენდი იდეალურად შეესატყვისება ამ მიზანს, ვინაიდან მის მახლობლად არ არის ნაგებობები და დამბები.

მისი თქმით, ფედერაციის ახალი წევრების უმეტესობა 30-დან 40 წლამდე ასაკის ადამიანები არიან, რომლებიც სერიოზულ ზეწოლას განიცდიან სამსახურში. ამიტომ ისინი ნუდიზმით არიან დაკავებული, რათა მოიშორონ სამოსი, მობილური ტელეფონები და ბუნებას დაუბრუნდნენ.

ინდონეზიაში ორსახიანი ბავშვი დაიბადა

ინდონეზიაში დაიბადა ბავშვი, რომელსაც ორი სახე და ორი ტვინი აქვს, რომელიც ერთ თავის ქალაშია მოქცეული.

ბავშვი, სახელად გილან ენდიკი, ინდონეზიის ქალაქ ბატამში დაიბადა. ამ მომენტისთვის ის ორი თვისაა. მას ერთი სხეული, ორი ხელი და ორი ფეხი აქვს, მაგრამ, იმის გამო, რომ მისი ტყუპისცალი ძმა დედის საშვილოსნოში ვერ განვითარდა, მისმა თავმა დეფორმაცია განიცადა. ასეთი პათოლოგია 250 ათასიდან ერთ შემთხვევაში გვხვდება.

გილანის დედამ განაცხადა, რომ არაფერი იცოდა საშვილოსნოში ბავშვის მდგომარეობის შესახებ და ეს მხოლოდ მშობიარობის დროს შეიტყო. ქალმა სამჯერ გაიარა ულტრაბგერითი შემოწმება, მაგრამ მას არაფერი უჩვენებია. ექიმი, რომლის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება ბავშვი, აცხადებს, რომ მშობლებს ურჩიეს, რომ ჯაკარტის საავადმყოფოს მიმართონ, სადაც კარგი სამედიცინო მოწყობილობა აქვთ და უმაღლესი კლასის ქირურგები ჰყავთ.

ჯალეიდოსკოპი

ხუთი წლის ბავშვმა 30 მაგნიტი გადაყლაპა და გადარჩა

ავსტრალიაში ხუთი წლის ბავშვმა 30 ცალი მაგნიტი გადაყლაპა, რომლებიც მაცივარზე იყო მიკრული და ნაწლავის დაზიანებით საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ინციდენტი ქალაქ მელბურბში მოხდა. ნოა ლეფოს ბებიამ, რომელსაც სამსახურში წასულმა მშობლებმა ბავშვი დაუტოვეს, ის სამზარეულოს იატაკზე კრუნჩხვებში ჩავარდნილი აღმოაჩინა. მან დაუყოვნებლივ გამოიძახა სასწრაფო და ლეფოს დედას დაურეკა.



ექიმებმა ბიჭი რენტგენზე გააშუქეს და მის ნაწლავებში 30 მრგვალი ლითონის საგანი აღმოაჩინეს. ამის მერე ბავშვმა აღიარა, რომ ვერცხლისფერი მაგნიტები კამფეტები ეგონა, მაცივართან სკამი მიიდგა, ზედ ავიდა და ისინი ერთიმეორის მიყოლებით გადაყლაპა.

ქირურგებს ექვსი საათი დასჭირდათ იმისთვის, რომ მაგნიტები ბავშვის ნაწლავებიდან ამოეღოთ. მათი თქმით, ბავშვი საავადმყოფოში რამდენიმე საათის დაგვიანებით რომ მიეყვანათ, ის შესაძლოა დაღუპულიყო.

საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოძრაობის დროს მაგნიტები ერთმანეთს იზიდავს და ამ დროს ნაწლავების კედლებს ხეთქავს. ექიმებმა ბავშვის ნაწლავებში 12 ნახვრეტი აღმოაჩინეს და ამოკერეს, ნაწილის კი მთლიანად ამოჭრა მოუხდათ.

ბრიტანელი ქმარს დაშორდა და ბოდიბილდერი გახდა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრი ქალბატონი მეუღლეს დაშორდა, მკვეთრად დაიკლო წონაში და ბოდიბილდერი გახდა.

ვანესა სტრაიკი ყოველთვის ცეკვებითა და სპორტით იყო გატაცებული და ფიგურის პრობლემა არ ჰქონია. მაგრამ მისმა მეუღლეს ქორწილიდან მცირე ხანში სამსახური მიიღო მისი მშობლიური ქალაქიდან 300 კილომეტრში მდებარე ქალაქ ვუსტერში და მათ იქ გადასვლა მოუწიათ. ამის შედეგად სტრესთან გასამკლავებლად ქალმა საკვების ჭარბად მიღება დაიწყო. მან 40 კილოგრამით მოიმატა წონაში. საკუთარი შეცვლილი გარეგნობის გამო კი ის ძალიან განიცდიდა.

– ეს ჩემთვის არცთუ კარგი დრო იყო. მე დავშორდი მეგობრებსა და ოჯახს, საყვარელს ცეკვის სკოლას და გადავედი ისეთ ადგილას, სადაც არავის ვიცნობდი და პრობლემები მომეძალა, – განაცხადა სტრაიკმა. მან ასევე აღიარა, რომ ახალ სამსახურში კაფეში ჭამდა კექსებს, შემდეგ კი სახლში მისული სადილს სამ კერძად ამზადებდა.

მან საკუთარი ცხოვრება მას შემდეგ შეცვალა, როდესაც დედამისს მკერდის კიბო დაუდგინეს.

– მაშინ შევაფასე საკუთარი მდგომარეობა და მივხვდი, თუ როგორი მძიმე და არაჯანსაღი გავხდი. უკმაყოფილო ვიყავი როგორც საკუთარი გარეგნობით, ისე ფსიქოლოგიური მდგომარეობით. არ მიყვარდა ჩემი სამსახური და თავს პატარა ქოხში ჩაკეტილივით ვგრძნობდი, – დაამატა სტრაიკმა.

საბოლოოდ ის თავის მეუღლეს დაშორდა, ჯერ სახლში დაიწყო ვარჯიში, ვინაიდან სავარჯიშო დარბაზში სიარულის რცხვენოდა, შეცვალა კვების რაციონი და სპორტულ კვებაზე გადავიდა. შემდეგ სპორტულ დარბაზში კვირაში ოთხჯერ დადიოდა, მალე კი თავად გახდა მწვრთნელი, გაიტაცა ბოდიბილდინგმა და უკვე შეჯიბრებებში მონაწილეობს.

ლეოპარდმა მოჩხუბარი ანტილოპები გააშველა და თავად მშიერი დარჩა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ლეოპარდი შეეცადა, ორ იმპალას დასხმოდა თავს, მაგრამ საბოლოოდ ხელცარიელი დარჩა.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი ტურისტებმა კრიუგერის ეროვნულ პარკში გადაიღეს. აფრიკული ანტილოპების ორ მამრობით წარმომადგენელს შორის ორთაბრძოლა გაჩაღდა. მოულოდნელად მათ დაპირისპირებაში ლეოპარდი ჩაერია. ბალახისმჭამელი ცხოველები აქეთ-იქით გაიქცნენ და ამით მტაცებელი ხელცარიელი დატოვეს. ადამიანების გარდა, ამ სცენას თვალს ჟირაფიც ადევნებდა, რომელიც ვიდეოს ბოლოს ბუჩქებიდან გამოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.4476

ევრო — 2.8642

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2125

100 რუსული რუბლი — 3.9011

ამინდის პროგნოზი 26 ივლისისთვის



იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ასი წლის მოხუცმა ქურდები ჯოხით გაყარა



გერმანელი მოხუცებული ქალბატონი, ბერლინის მკვიდრი, ქურდებს თავს ჯოხით დაესხა და აიძულა, გაქცეულიყვნენ.

ორი ბოროტმოქმედი 103 წლის ქალბატონის ბინაში იმ დროს შეიჭრა, როდესაც მან შესასვლელი კარი გააღო. მათ ბინის პატრონი სამზარეულოში შეიყვანეს და რაღაც საბუთებზე ხელის მოწერა მოსთხოვეს, კიდევ ერთი დამნაშავე კი კიბეზე დარჩა. პოლიციაში ვარაუდობენ, რომ ის ძვირფასი ნივთების გატანას აპირებდა, სანამ თანამზრახველები მოხუცებულს აკავებდნენ.

მოხუცებულმა მათი გეგმები ჩაშალა. მან უარი განაცხადა საბუთებზე ხელის მოწერაზე, ხოლო როდესაც ერთ-ერთი მათგანი მასთან მეტისმეტად ახლოს მივიდა, ქალმა მოულოდნელი სისწრაფით აიტაცა ხელჯოხი და მისი დახმარებით ბოროტმოქმედები სახლიდან გაყარა. ამის შემდეგ სამივე ბოროტმოქმედი გაიქცა და მიიმალა. თავად სახლის პატრონი არ დაშავებულა.

ქალმა ვადაგასული ტუშით ისარგებლა და დაბრმავდა

ხანდაზმული ავსტრალიელი ქალბატონი მას შემდეგ დაბრმავდა, რაც წამწამები შეიღება ტუშით, რომელსაც ვარგისიანობის ვადა20 წლის წინ გაუვიდა.

ქალაქ ადელაიდის მკვიდრმა შირლი პოტერმა წამწამებზე ტუში თავის ქალიშვილებთან ერთად გარეთ გასვლის წინ წაისვა. მეორე დილით მას მეუღლემ უთხრა, რომ თვალები დაწითლებული ჰქონდა. ქალის თქმით, მალე ორივე თვალზე ძლიერი წვა დაეწყო, მიუხედავად იმისა, რომ ის დაბადებიდან ვერაფერს ხედავდა და გრძნობდა მარცხენა თვალით.

მაკიაჟის გაკეთებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ის დისკომფორტს განიცდიდა. თვალის ექიმთან მიღებაზე ქალმა შეიტყო, რომ მას თვალის სერიოზული ინფექცია ჰქონდა, რაც, სავარაუდოდ, ვადაგასული კოსმეტიკის გამოყენების შედეგი იყო.

ამ დროისთვის ქალი პრაქტიკულად დაბრმავდა და, ექიმების პროგნოზით, ის შემდგომი სამი წლის განმავლობაში სრულიად დაბრმავდება.

„ირანელმა ანჯელინა ჯოლიმ“ თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა

ირანის მკვიდრმა საჰარ ტაბარმა, რომელმაც სახელი ანჯელინა ჯოლის ყველაზე ცუდ სახესთან მსგავსებით გაითქვა, გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომელზეც საკუთარი ნამდვილი სახე წარმოადგინა, ყოველგვარი კოსმეტიკისა და ფოტოშოპის გარეშე.

საკუთარი ფოტოების გამოქვეყნებამდე ტაბარი მათ რედაქტირებას უკეთებს, რათა ისინი სასაცილოდ გამოიყურებოდეს. 19 წლის ტაბარმა ამას თვითგამოსახვის ფორმა და შემოქმედება უწოდა. ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე მან გამოაქვეყნა რამდენიმე ფოტოსურათი, რომლებშიც ის მსახიობის სახით არ არის წარმოდგენილი.

– მე მესმის, რომ ჯოლის სახესთან და ასევე მულტფილმის „პატარძლის ცხედრის“ მსგავსი ნაკვთები მაქვს, მაგრამ მე თავად ვარ საკუთარი თავის მუზა და არ მსურს, მათსავით გამოვიყურებოდე, – აღნიშნა მან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, ცოლს გაშორდი. მართალია?

– ჰო, მასეა.

– კი მაგრამ, რატომ? ხომ ამბობდი, რომ ლამაზია და ფეხები ყურებიდან ეწყება?

– შენ უნდა გენახა, სად ჰქონდა ყურები!

●●●

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, თავში პატარა კაცუნა მიზის და დედას იგინება.

– ადვილი საქმეა! 1000 დოლარი და არავითარი პრობლემა!

– ექიმო, იცით, ახლა რას ამბობს ის კაცუნა?...

●●●

ორი დიდი ხნის უნახავი თანაკლასელი შეხვდა ერთმანეთს, ერთი წარმატებული ბიზნესმენი, მეორე კი უსახლკარო მაწანწალა. ეს უკანასკნელი თანაკლასელს ეუბნება:

– ცოტა ფული მაინც მომეცი, რომ ფეხზე დავდგე.

– კარგი, ფულს მოგცემ, მაგრამ ერთი რამ უნდა გამოიცნო.

– მიდი, აბა, მითხარი.

– რამდენიმე წლის წინ თავს დამესხნენ და ცალი თვალი დავკარგე. დიდი ფული დამიჯდა ხელოვნური თვალის გაკეთება და ჩასმა. აბა, თუ გამოიცნობ, რომელი თვალია ხელოვნური?

– მარცხენა.

– მართალია და საიდან მიხვდი?

– მასში ადამიანურობა იგრძნობა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, საუდის არაბეთის მეფეს 45 შვილი ჰყავს.

– აუ, წარმომიდგენია, რა დღეში შეხვდება ნაბოლარა შვილს უფროსი ძმების გამონაცვალი ტანსაცმელი.

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– თუ იცი, როგორ გამოიგონეს კონდიციონერი?

– როგორ და ერთხელაც კარლსონი „ფოროთოჩკაში“ გაიჭედა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

როჯერ ფედერერი ტორონტოს მასტერსს გამოტოვებს

შვეიცარიელი ლეგენდა როჯერ ფედერერი ტორონტოს მასტერსის ტურნირზე მონაწილეობას არ მიიღებს. ამის შესახებ განცხადება თვითონ ფედერერმა გააკეთა.

როჯერის თქმით, მას ძალიან უყვარს ტორონტოში თამაში, მაგრამ ამჟამად სხვა გეგმები აქვს:

– კანადა ძალიან მიყვარს და ტორონტოში ყოველთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ჩემთვის თამაში, მაგრამ წელს ამ ტურნირს გამოვტოვებ, რადგან დასვენება მესაჭიროება. იმედი მაქვს, გულშემატკივრები არ განაწყენდებიან.

ტორონტოში ტურნირი 6 აგვისტოს აიღებს სტარტს.

მინიოლე და დივოკ ორიჯი ლივერპულს დატოვებენ

ლივერპულს ამ ზაფხულს რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს და მათ შორის, სავარაუდოდ, დივოკ ორიჯი და სიმონ მინიოლე იქნებიან.

მას შემდეგ, რაც ლივერპულმა ალისონი იყიდა, მინიოლე გუნდის მესამე მეკარე გახდა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მას ლივერპულიდან წასვლა სურს. რაც შეეხება ორიჯის, მას ასევე გაუჭირდება ლივერპულის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა, რადგან მერსისაიდელებს ბევრი შემტევი ფეხბურთელი ჰყავთ, ამიტომ ორიჯი, სავარაუდოდ, საფრანგეთში დაბრუნდება, სადაც ის ლივერპულამდე თამაშობდა.

მინიოლეს მომავალი გუნდი ჯერჯერობით უცნობია.

პოლ სქოულზმა პოლ პოგბა ისევ გააკრიტიკა

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა პოლ სქოულზმა, რომელიც ამჟამად ტელევიზიაში საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, განაცხადა, რომ პოლ პოგბას უკეთესად შეუძლია მანჩესტერში თამაში, უბრალოდ, ის საკმარისად არ ინდომებს.

სქოულზის აზრით, საფრანგეთის ნაკრებში პოგბა გაცილებით პროდუქტიულია.

– ვფიქრობ, პოგბას გაცილებით მეტი შეუძლია, უბრალოდ, მან უფრო მეტი უნდა იფიქროს მოედანზე და მეტად მოინდომოს. ჩემი სურვილია, მანჩესტერში ისეთი პოგბა ვიხილო, როგორსაც საფრანგეთის ნაკრებში ვუყურებ, – განაცხადა პოლ სქოულზმა.

რეალი ედისონ კავანის შეძენით დაინტერესდა



მადრიდის რეალი ურუგვაელი ფორვარდის ედისონ კავანის შეძენით დაინტერესდა.

რეალი კრიშტიანუ რონალდუს შემცვლელს ეძებს, რომელიც იუვენტუსში წავიდა და, ბუნებრივია, ეს რეალისთვის დიდი დანაკარგია. კავანის ტრანსფერში რეალი მზად არის, სოლიდური თანხა გადაიხადოს, თუმცა პარიზელები თავიანთი ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდის დათმობას არ აპირებენ.

კავანი უკვე 5 წელია, რაც პსჟ-ს ღირსებას იცავს და ამ გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. მუსიკალური ნაწარმოების ბოლო დასკვნითი ნაწილი; 2. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 3. ეკლესია-მონასტრებისთვის შემომწირველთა სარეგისტრაციო დავთარი ძველად; 4. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 5. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 6. პროფესიონალი მოცეკვავე ინდოეთში; 8. გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 10. ქართველ სუმოისტ გორგაძის იაპონური სახელწოდება; 11. ფრანგული ვაშლის არაყი; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. უნივერსიტეტი მადრიდში; 16. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება.

თარაზულად: 1. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ჩეჩნებისა და ინგუშების სახელწოდება ძველად საქართველოში; 7. თოფის წამალი; 9. მიქელანჯელოს ქანდაკება; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 13. აკვიატებული შიში; 14. ერთ-ერთი კონტინენტი; 17. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა, მონოლოგი; 18. მაჯისცემის გრაფიკული ჩანაწერი; 19. კიბერნეტიკის ნაწილი; 20. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა